140/1960/3

140/3

29

# ბავშვი და ბუნება

პიონერი 1
1960

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქანდაკება

ე. ვ. ვუჩეტიჩისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პ ი ო ნ ე რ ი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნოარჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

1

იანვარი
1960

გამოცემის წელი
XXXIV

8009

რედაქტორი **რევაზ მარგიანი**
სარედაქციო კოლეგია: **შ. ბერიანიძე, რ. ელანიძე, მ. ლებანიძე** (პ/მგ. მდივანი), **მარიჯანი, რ. ქორქია, გ. ფოცხიშვილი** (სამხატვრო რედაქტორი).

საქართველოს სსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა
„ნ ა კ ა ბ დ უ ლ ი“

## შ ი ნ ა ა რ ს ი


| | |
|---|---|
| | გვ. |
| **ანტონ ჩეხოვი**— ერთი დღე ქალაქგარეთ (სურათი. თარგმნა მიხ. მრევლიშვილმა) | 2 |
| პირველი შეხვედრები მთვარესთან | 6 |
| **შალვა ცვიშბა**—შენ იქნები (ლექსი. თარგმნა ხ. გაგუამ) | 6 |
| **ლადო მრელაშვილი**—ყველაზე მეტად საჭირო (მოთხრობა) | 8 |
| ჩაძირული მედალი (პ. მშვენიერაძის ნაამბობი) | 14 |
| შეგვეკითხეთ? - გიპასუხებთ | 15 |
| **ქეთევან ხახუტაშვილი**—გამრჯე მეგობრები (ნარკვევი) | 16 |
| **გოდერძი ჭეიშვილი**—ჩანთა (მოთხრობა) | 18 |
| საინტერესო თემაზე | 20 |
| პიონერული საფეხურები | 21 |
| **მარსელ ემე**—ძაღლი (ზღაპარი. თარგმნა თ. ფურცხვანიძემ) | 22 |
| **ნ. ბოფერია**—რა უნდა ვიცოდეთ (საუბარი) | 25 |
| **ვ. ივანიძე** დღეს პიონერები განაგებენ კინოთეატრს (ნარკვევი) | 26 |
| ინდური არაკები (თარგმნა ი. სურგულაძემ) | 28 |
| ბუნების კარი | 29 |
| **მ. პობერი**—ექვსი საშინელი საათი ჰაერში (ნამდვილი ამბავი) | 30 |
| ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე | 31 |
| პიონერული ამბები საზღვარგარეთიდან | 32 |
| ინგლისური იუმორი | 32 |
| მოკლედ ყველაფერზე . . . გარეკ. | 3 |
| თავისუფალ დროს . . . . . გარეკ. | 3 |

გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ **თენგიზ სამსონაძეს;**

გარეკანის მეორე გვერდზე: „სახნისები გამოვეცედოთ მახვილებისაგან,“ — ქანდაკება **ე. ვუჩეტიჩისა.**

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: **დ. ხახუტაშვილის, ალ. ბანძელაძის, ვ. გელოვანის, ნ. შალიკაშვილის** და **ე. ამბოკაძის** მიერ.


საქართველოს სსრ ... ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესრულდა ასი წელი დიდი რუსი მწერლის, ანტონ პავლეს ძე ჩეხოვის დაბადებიდან. ჩეხოვის სახელი დიდად პოპულარულია მსოფლიოში. მისი მოთხრობების ენა, ჰუმორი—გამთბარი მწერლის ჰუმანიზმით, მარად ხიბლავდა და კვლავაც მოხიბლავს მკითხველს. საბჭოთა ხალხი ამაყობს, რომ ჩეხოვის ლიტერატურული მემკვიდრეობა შევიდა მსოფლიო მწერლობის საგანძურში.

ჩეხოვის მოთხრობებში ხშირად ვხვდებით პატარა გოგონებსა და ბიჭებს, რომელთა ცხოვრებაც მეტად მძიმე იყო მეფისდროინდელ რუსეთში. ამ მოთხრობებში იგრძნობა მწერლის დიდი სიყვარული ბავშვებისადმი. სწორედ ერთ ასეთ მოთხრობას გაგაცნობთ, ჩვენო მკითხველებო, თქვენი ჟურნალის ფურცლებიდან.

# ერთი ღამე ქალაქში

ა. ჩეხოვი

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

## სურათი

დილის მეცხრე საათია.

შავი, ტყვიისფერი ღრუბელი მზისაკენ მიიწევს. ქუფრის ზედაპირზე აქა-იქ. წითელ ზიგზაგებად იკლაკნება ელვა. შორეული გრგვინვა მოისმის ყრუდ. თბილი ქარი ბალახში სისინებს, ჰღუნავს ხეებს. მტვრის კორიანტელს ატრიალებს. ჩქარა წამოვა მაისის შხაპუნა წვიმა და უსათუოდ გაავდარდება.

სოფლის შარაზე ექვსი წლის მათხოვარი ფეკლა დატანტალებს და მეჩექმე ტერენტის დაეძებს. ქერათმიანი, ფეხშიშველი გოგონა გაფითრებულია. თვალები გაჰფართოვებია და ტუჩები უთრთის.

— ბიძია, სად არი ტერენტი? ეკითხება გოგონა გამვლელებს. პასუხს არავინ აძლევს. მგზავრები მოახლოვებულ ავდარს გაურბიან და ქოხმახებს აფარებენ თავს. ბოლოს ფეკლამ ტერენტის მეგობარსა და ძმობილს მნათე სილანტი სილიჩს მოჰკრა თვალი. მოდის სილანტი და ქარისგან ბარბაცებს.

— ბიძია, სად არის ტერენტი?

— საბოსტნეებში, — უპასუხებს სილანტი.

მათხოვარი გოგონა საბოსტნეებისაკენ გარბის. ჩოფურა და პირხმელი სახის, ყანჩასავით აწოწილი მოხუცი მეჩექმე ტერენტი, ცოლის დახეულ ჯუფთარაში გამოწყობილი და ფეხშიშველი, საბოსტნე კვლებთან დგას და ნასვამი, გამოლენჩებული თვალებით შავ ღრუბელს შეჰყურებს. წეროსავით გრძელკანჭება მოხუცს მომძლავრებული ქარი ხეზე ჩამოკიდებულ შოშიას ბუდესავით აქანავებს.

— ბიძია ტერენტი! — მიმართავს მას პატარა მათხოვარი. — ჩემო ბიძია!

ტერენტი ფეკლასკენ იხრება და მის ნამთერალევ სახეს ღიმილი ჰფარავს, ისეთი ღიმილი, რომელიც ადამიანს პატარა, უმწეო, სასაცილო, მაგრამ საყვარელი არსების დანახვის დროს მოუვა ხოლმე.

— ააა,.. ღვთის მონა ფეკლა! — ამბობს ის ალერსიანი ჩიფჩიფით. — საიდან მოგიყვანა ღმერთმა?

— ბიძია ტერენტი, — ზლუქუნებს ფეკლა და მეჩექმეს ჯუფთარაზე ებღაუჭება. — ძამია დანილკას ცუდი რამ შეემთხვა! წავიდეთ!

სოფლის შარაზე ექვსი წლის ფეკლა დატანტალებს და მეჩექმე ტერენტის დაეძებს.

— ვითომ რა შეემთხვა? უჰ, როგორა ჰქუხს!.. წმინდაო, გვიშველე... ჰო, რა შეემთხვა?

— ბატონის ჭალაში დანილკამ ხელი ფუღუროში ჩაჰყო და ვეღარ ამოიღო უკან. წამოდი ბიძია, გვიშველე რამე, ხელი ამოუღე იმ ფუღუროდან!

— ფუღუროში ხელს რათა ჰყოფდა, რისთვის?

— გუგულის კვერცხი უნდა ამოეღო ჩემთვის.

— ჯერ დღე არ დამდგარა და თქვენ უკვე დარდი გაგჩენიათ,—ნიშნის მოგებით ამბობს ტერენტი და გვერდზე აფურთხებს.—ჰოდა, რა გიყოთ ახლა მე თქვენ? უნდა წავიდეთ... უნდა გიშველოთ მგლის კერძებო. აბა რა ვქნა! გამიძეხ, ობოლო!

ტერენტი მიაბიჯებს საბოსტნეებზე და სოფლის შარაზე გასული სწრაფად მიალაჯებს წინ. მიდის მეჩექმე სარგადაყლაპულივით პირდაპირ, არც აქეთ-იქით იცქირება და არცა ჩერდება. თითქო მდევარით აშინებდეს, ანდა ეჯიკავებოდეს ვინმე. მათხოვარი ფეკლა ძლივს მისდევს ტერენტის.

მგზავრები სოფლიდან გადიან და მტვრიანი გზით, ლურჯად მოლივლივე ჭალისაკენ მიემართებიან. იმ ჭალამდე ორიოდ ვერსი მანძილი იქნება. შავმა ღრუბელმა კი მზე სულ დაჰფარა და ცის სილურჯე არსად არ დასტოვა. ჩამობნელდა.

— წმინდაო, წმინდაო, წმინდაო,—ჩურჩულებს ფეკლა და მისდევს ტერენტის.

წვიმის პირველმა და მსხვილმა წვეთებმა შავი წერტილებით დაჩითა მტვრიანი გზა. ერთი ცვარი ლოყაზედაც დაეცა ფეკლას და ცრემლივით დაგორდა ნიკაპისაკენ.

— წვიმა წამოვიდა!—ბუზღუნებს მეჩექმე და თავისი ტიტველი მსხვილძვალა ფეხებით მტვრის კორიანტელს ატრიალებს.—ეს ღმერთმა გვიშველა, ჩემო ფეკლა. წვიმით ბალახნი და ხეები იკვებებიან, როგორც ჩვენ—ლუკმა პურით. გრგვინვისა კი ნუ გეშინია, ობოლო, აბა, შენ რად უნდა მოგკლას, ასეთი პატარა?

წვიმის წამოსვლისას ქარი ჩადგა და მიწყნარდა. ახლა მხოლოდ წვიმა ხმაურობს. წვრილი საფანტივით ეკუნებს ჯეჯილს და მტვრიან გზას.

— ამოვილუმპებით მე და შენ, ფეკლუშა!—ბუზღუნებს ტერენტი.—ადგილი არ შეგვრჩება მშრალი... უჰ, კისერში ჩაგორდა სისველე წურწურით! მაგრამ შენ კი არ შეგეშინდეს, სულელო... ბალახი გაშრება, მიწა გაშრება, ჩვენც გავშრებით. ყველასათვის ერთია მზე.

მგზავრების თავზე ორსაჟენიანმა ელვამ გაკვესა. მძლავრად დაიჭექა, ფეკლას მოეჩვენა, რომ რაღაც დიდი, მძიმე და გორგალივით აგორებული დაეშვა ქვევით, გააპო ცა და მათ თავზე გასკდა!

— წმინდაო... წმინდაო...—პირჯვრის წერით ჩურჩულებს ტერენტი.—ნუ გეშინია, ავად არა გრგვინავს!—ამშვიდებს ის პატარა მათხოვარს.

მეჩექმისა და ფეკლას ფეხებს სველი თიხის ბელტები ეკრობა. სიარული ჭირს. ფეხი სხლტება, ტერენტი

— ხელი სადღა გაქვს?

— ფუღუროში... მიშველე, ტერენტი, ამოიღე, თუ შეიძლება!

**დანილკა შეჰყურებს ტერენტის და ხარბად ისმენს მის ყოველ სიტყვას.**

კი მაინც მიაბიჯებს, მიიწევს წინ... პატარა და უძლურ მათხოვარს სული ეხუთება. თავს ძლივს იმაგრებს.

აი, ბოლოს ჭალას მიაღწიეს და შევიდნენ შიგ. წვიმით განბანილი, ქარის უცაბედ ქროლვაზე შერხეული ხეები შხეფების ნაკადით უმასპინძლდებიან მგზავრებს. ტერენტი კუნძებს ეხლება და ნაბიჯს ანელებს.

— სად არი აქ დანილკა?—კითხულობს იგი.—მიმიყვა მასთან.

ფეკლა მიუძღვის წინ და კარგა ხნის სიარულის შემდეგ პოულობს ძმას. ფეკლას ძმა დანილკა, პატარა, რვა წლის ქერათმიანი ბიჭუნაა. მას ფერმკრთალი და ავადმყოფური სახე აქვს. ის ხეს მიყრდნობია, თავი მკერდზე გადაუხრია და შემპარავად გაჰყურებს ცას. ერთი ხელით გაცვეთილ ქუდს იმაგრებს თავზე, მეორე ხელი კი ძველი ცაცხვის ფუღუროში ჩაუმალავს. ბიჭი შესცქერის მჭექარე ცას და თითქო ვერცა გრძნობს თავის განსაცდელს. მეჩექმეს დანახვაზე სუსტად იღიმება და ამბობს:

— როგორა გრგვინავს, ტერენტი, ასეთი გრგვინვა თავისდღეში არა მსმენია.

—ხელი სადღა გაქვს?

— ფუღუროში... მიშველე, ტერენტი, ამოიღე, თუ შეიძლება!

ფუღუროს პირი ჩამომტვრევია და ბიჭის ხელი დაუტანია. მაჯა სიღრმეში თავისუფლად მოძრაობს, მაგრამ უკან გამოღება შეუძლებელია. ტერენტი ფუღუროს ჩამომტვრეულ პირს ჰგლეჯავს და ბიჭის დაწოლილ და დაშავებულ მაჯას ათავისუფლებს.

— როგორა გრგვინავს!—იმეორებს ბიჭი და ფრთხილად იფხანს დაბეჟილ ხელს.—რათა გრგვინავს, ტერენტი, ჰა?

— ღრუბელი ღრუბელს ეჯახება...—ამბობს მეჩექმე.

მგზავრები გამოდიან ჭალიდან და ჭალისპირს მისდევენ, გზისკენ. მიწყნარებული გრგვინვა ახლა შორიდან-ღა ისმის.

— აქ, ტერენტი, წელან გარეულმა იხვებმა გადაიფრინეს,—ამბობს დანილკა და ისევ ხელს ისრესავს.—ალბათ, ჭაობში დასხდებიან. ფეკლა, გინდა ბულბულის ბუდე გაჩვენო?

— ხელი არ ახლო, არ დააფრთხო...—ამბობს ტერენტი და ქუდსა სწურავს.—ბულბული მგალობელი ფრინველია, უცოდველი... იმას ისეთი ხმა აქვს ყელში, რომ ღმერთს აქებს და ადამიანს ამხიარულებს, ცოდოა მისი შეწუხება.

— ბეღურა?

—ეგ შეიძლება. ბეღურა ბოროტი ფრინველია, გამკილავი. თავში სულ ეშმაკური ფიქრი უტრიალებს. ადამიანის სიკეთე არ უყვარს. როცა ქრისტე ჯვარზე გააკრეს, ჟივ-ჟივით მოჰქონდა ლურსმნებიო. ასე ამბობენ.

ცაზე მოლურჯო ტატნობი გამოჩნდა.

— აქ უყურე!—ამბობს ტერენტი.—ჭიანჭველების ბუდე გაუთხრია ავდარს! წყალში ჩაუყრია ეშმაკის კერძები!

მგზავრები დაჰყურებენ ავდრისაგან დაქცეულ ჭიანჭველების ბუდეს. აფორიაქებული მწერები ტალახში დაცოცავენ და გარს უვლიან წყალში ჩაცვივნულ თანამცხოვრებთ.

— არაფერია, არ დაიხოცებით!—ხითბითებს მეჩექმე.—შეგათბობთ მზე და მოხვალთ გრძნობაზე... თქვენთვის, სულელებო, ეს გაკვეთილია. აღარ დასახლდებით სხვა დროს დაბლობებში...

გზას განაგრძობენ.

— აი, ფუტკრებიც!—შესძახის დანილკა და თანამგზავრთ ახალგაზრდა მუხის ტოტზე მიუთითებს.

ტოტს შემოსხდომია ავდრისაგან გალუმპული ფუტკრების დასტა. დასველებული და შემცივებული მწერები მიჰკვრიან ერთმანეთს. ფუტკრების სიმრავლე მთელ ტოტსა ჰფარავს. ზოგნი ერთმანეთს თავს დასხდომიან. მათი სიმრავლისაგან ფოთლებიც აღარ სჩანს.

— ფუტკრების ნაყარია,—უხსნის ტერენტი.—ბინას ეძებენ და ავდარმა მოუსწროთ. წვიმამ დანამა და აქვე ჩამოსხდნენ. გაფრენილ გუნდს რომ წყალი შეასხა, იმ წამშივე ეგრე დასტად ჩამოსხდებიან. ახლა, თუ გინდა დაიჭირო, მოიტა ტომარა, ჩაუშვი ტოტი ტომარაში და ფუტკრის ნაყარი ჩაბერტყე შიგ. სულ ერთიანად ჩაცვივიან.

პატარა ფეკლა იმანჭება და კისერს ძალუმად იფხანს. ძმა შეჰყურებს და ფეკლას კისერზე ღუდუდოს ამჩნევს.

— ეჰე!—იცინის მეჩექმე.—იცი, ჩემო ფეკლა, რისთვის დაგაჯდა კისერზე ღუდუდო?—ჭალაში ალბათ შხამიანი ბუზები იყვნენ. მათგან ნაჟური წვიმის წვეთი კისერზე დაგეცა და ეგ ღუდუდოც იმისი ბრალია.

ღრუბლის ფანტელებში მზე ამოიწვერა და მთბობი სინათლე მოჰფინა გარემოს. შავი ღრუბელი შორს გადაიზლაზნა და თან წაიღო წვიმა და ავდარი. ჰაერი გათბა. გარშემო შოთხისა და შროშანას სურნელება დაიფრქვა.

მიჰქრის მატარებელი და კვამლში გახვეული, ქშენით მიაგორებს ვაგონების შემადგენლობას.

— ამ ყვავილს ცხვირიდან სისხლის დენის დროსა ხმარობენ,—ამბობს ტერენტი და რომელიღაც ყვავილზე უთითებს.—შველის...

მოისმის ქშენა, გრგვინვა და გრუხუნი. მაგრამ ისეთი კი არა, წეღან რომ წაიღო შავმა ღრუბელმა. ტერენტის, დანილკას და ფეკლას თვალწინ მიჰქრის საბარგო მატარებელი და კვამლში გახვეული ქმენით მიაგორებს ვაგონების შემადგენლობას. ძალა აქვს მას არაჩვეულებრივ ძლიერი. პატარებს ძალიან აინტერესებთ როგორ მიათრევს უსულო მანქანა, ცხენების დაუხმარებლად, ამ მძიმე ტვირთს. ტერენტიც ცდილობს აუხსნას მათ.

— აქ ძალა ორთქლშია, ჩემო პატარებო... ორთქლი მოქმედებს... ორთქლი... რომ ვთქვათ... აი. ქვევით, ბორბლებს აწვება და ის კიდევ... ერთი სიტყვით. მოძრაობს... მიდის.

მგზავრები რკინიგზის ლიანდაგს გადადიან და ქვევით, მდინარისაკენ იღებენ გეზს. მიდიან უსაქმოდ. საითაც თვალი უწვდებათ. ბაასით და ნელი ტაატით. დანილკა სხვადასხვა კითხვებს სვამს. ტერენტი უხსნის.

ტერენტის ყველა კითხვაზე მზადა აქვს პასუხი და არა არის რა ბუნებაში ისეთი რამ იგი ჩიხ'ში მოამწყვდიოს. ტერენტომ ყველაფერი იცის, იცის მინდვრის ყვავილების, ქვების და ცხოველების სახელები. იცის რა ბალახით არჩენენ სნებას, არ გაუჭირდება ცხენის თუ ძროხის წლოვანების დადგენა; გაჰხედავს მზის ჩასვლას. მთვარეს, ფრინველებს და ძეუძლია თქვას როგორი ამინდი იქნება ხვალ. ეს მხოლოდ ტერენტი კი არ არის ასეთი. სილანტი ნილიჩმა, მედუქნემ, მებოსტნემ. მწყემსმა და საერთოდ მთელმა სოფელმა იმდენივე იცის. რამდენიც ტერენტომ. სწავლობდა ეს ხალხი წიგნებით კი არა, ისინი სწავლობდნენ მინდორში, ტყეში, მდინარის პირას. მათ ასწავლიდნენ თვითონ ხეები და ბალახები. ფრინველები. როცა გალობდნენ თავის საგალობელს, ჩამავალი მზე, რომელიც ჩასვლისას ცაზე სტოვებდა ცეცხლისფერ შუქს.

დანილკა შეჰყურებს ტერენტის და ხარბად უსმენს მის ყოველ სიტყვას. გაზაფხულზე, როცა ჯერ კიდევ არ მოგწყენია სითბო და თრთოლვა მწვანე მინდვრებისა. როცა ნორჩია ყველაფერი და ყოველი სიახლით სუნთქავს. ვის არ გაიტაცებს ამბავი გაზაფხულის ოქროსფერ ხოჭოებზე, წეროების გუნდზე, დათავთუხებულ ჯეჯილებსა და მოჩუხჩუხე ნაკადულებზე?

ორთავენი, მეჩექმე და ობოლი ბიჭუნა, მიდიან მინდორზე, საუბრობენ არ იღლებიან. ასე ივლიდენ ისინი ქვეყნად და არ მოსწყინდებოდათ მიდიან. მსჯელობენ ბუნების სილამაზეზე და ვერ ამჩნევენ როგორ მოლასლასებს უკან. პატარა და სუსტი მათხოვარი გოგონა. ის მძიმედ მოაბიჯებს და სული ეხუთება, თვალები ცრემლით ავსებია. სიამოვნებით დასტოვებდა ის იმ დაუღალავ თანამგზავრებს, მაგრამ სად წავიდეს და ვისთან? გოგონას არა ჰყავს მშობლები, არა აქვს კერა. გინდა თუარ გინდა, მიჰყევი და უსმინე მათ.

ნაშუადღევზე სამივენი წყლის პირას სხდებიან. დანილა ტოპრაკიდან დასველებულსა და ფაფასავით აზელილ პურის ნაჭერს იღებს და თანამგზავრთ სთავაზობს. მეგობრები პურით ნაყრდებიან. ტერენტი შეჰვედრის ღმერთს და მდინარის ქვიშიან ნაპირზე გაჭიმული იძინებს... ვიდრე ტერენტის ძინავს, ბიჭი მდინარის ზედაპირს დაჰყურებს და ფიქრობს. მას ბევრი რამ აქვს საფიქრელი. წეღან მან ნახა ქარიშხალი, ფუტკრები, ჭიანჭველები. მატარებელი, ახლა მის თვალწინ წყლის სიღრმეში თევზები ცურავენ. ზოგი დიდია და მტკაველის ოდენა, ზოგიც ცეროდენა. მდინარის ერთი ნაპირიდან მეორისაკენ თავაღერებული ანკარა მოცურავს.

საღამო ხანს-ღა ბრუნდებიან ჩვენი მგზავრები სოფელში. ბალღები ღამის სათევად მიტოვებული საბძლისაკენ მიაშურებენ, სადაც წინათ საზოგადო ხორბალსა ჰყრიდნენ. ტერენტი კი ემშვიდობება მათ და ღვინის დუქნისაკენ უხვევს. ობლები ძველ ნამჯაზე წვებიან, ერთმანეთს ეკვრიან და სთვლემენ.

ბიჭს არა სძინავს. ის ღამეს გაჰყურებს და დღით ხილული კვლავ ეჩვენება: შავი ღრუბელიც და კაშკაშა მზეც. ფრინველებიც, პატარა თევზებიც და აყლაყუდა ბიძია ტერენტიც. შთაბეჭდილებათა სიჭარბე, დაღლილობა და შიმშილი თავისასას შვრება. ბიჭი იწვის და ბორგავს. ვერ ისვენებს. უნდა ვისმეს გაანდოს ფიქრები, გაანდოს ის, რაც ახლა ელანდება და რაც სულს უღელვებს, მაგრამ ვის გაანდოს. ფეკლა პატარაა. ის ჯერ ვერაფერს ვერ გაიგებს.

„ხვალ ყველაფერს ვუამბობ ტერენტის...“ —ფიქრობს პატარა, ობოლი ბიჭუნა.

უსახლკარო მეჩექმეზე ფიქრით იძინებენ ბავშვები. ღამით მათთან ტერენტი მოდის ფეხაკრეფით, ლოცავს ობლებს და თავთით პურს უდებს. ამ სიყვარულს ვერავინ ვერ ხედავს მთვარის გარდა, რომელიც მისცურავს უსაზღვრო ცაზე და ალერსიანად იჭყიტება მიტოვებული საბძლის ფარლალა ჭუჭრუტანებში.

თარგმნა

**მიხეილ მრევლიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟიულ ვერნი მთვარეს

აღსრულდა! კაცობრიობის ისტორიაში, პირველად, ადამიანის ხელით შექმნილმა კოსმოსურმა რაკეტამ მთვარეს მიაღწია.

ახლა ჩვენ რაღაც საოცარი გრძნობით შევცქერით მთვარეს. იქ, სადღაც, მის მდუმარე, შავი ცით დაფარულ სივრცეში, საიდანაც დედამიწა ნათდება, დევს საბჭოთა ადამიანის ხელით შექმნილი ფოლადის ვიმპელი.

ამას წინათ მეორე დიდი მოვლენაც მოხდა: მთვარისკენ გაფრინდა კიდევ ერთი, ამჯერად ავტომატური სადგურით აღჭურვილი საბჭოთა რაკეტა. მან შემოუარა მთვარეს, გამოირკვია რა იმალება ადამიანის თვალისათვის უხილავ მის უკანა მხარეზე, გადაიღო სურათი და ისევ ჩვენი პლანეტისაკენ წამოვიდა.

## მ. ცვეშბა

### შენ იქნები

სხედან დედა და მამა,
სახეზე ღიმი შვენით,
ხელოვნურ თანამგზავრზე
ლაპარაკობენ ლხენით:

— ადამიანი მალე
ფეხს დაადგამსო მთვარეს...
იქვე ყურს უგდებს ბიჭი
და ფართოდ ახელს თვალებს:

— ვინ იქნებაო, ნეტა,
რომელიც შესძლებს ამას!
— შენ უნდა იქნე, შვილო,—
ღიმით პასუხობს მამა.

აფხაზურიდან თარგმნა
ხ. გაგუამ

## მთვარის ანკეტა

1. რამდენი წლისა ხართ?

დაახლოებით 50.000 000 000....

2. რატომ ილიმებით ხოლმე?

მე ხომ ასეთი კარგი საჩუქარი მივიღე დედამიწისაგან.

3. თქვენი ძირითადი საქმიანობა?

ვარ გიგანტური რეფლექტორი—მზის შუქს დედამიწას ვაფრქვევ. თუმცა ხანდახან მზეს ვაბნელებ კიდეც. ამას გარდა, ვაწესრიგებ დედამიწაზე მოქცევასა და უკუქცევას.

დიდი ხანია ვასრულებ „კოსმოსური ხაათის“ დანიშნულებას—დედამიწაზე ხომ ჩემს მიხედვით დაყვეს წელიწადი თვეებად.

4. რა გიყვართ?

ცხადია, ჩემი სამუშაო. ამას გარდა, პირდაპირ ვალმერთებ ფერწერას, პოეზიას, მუსიკას. „ტუუილად ხომ არ მიძღვნა ბეთჰოვენმა მთვარის სონატა“. ხოლო მთელი ლექსების 28.001 პროცენტი ხომ ჩემდამია მოძღვნილი.

5. თქვენი დამოკიდებულება მეცნიერებისადმი?

ძალიან კარგი. მაგრამ ვწუხვარ, რომ ხანდახან ისეთი რამეს მაწერენ, რაც არასდროს ჩამიდენია. მაგალითად, იტალიელმა მეცნიერმა ჯიოვანი რიზელიმ XVII საუკუნეში ჩემი დაბლობები ზღვებად მონათლა და ამტკიცებდა თითქოს ჩემზე იყოს დამოკიდებული დედამიწაზე ამინდის ცვალებადობა. არაფერიც!

სამაგიეროდ, მე დიდად დავეხმარე ნიუტონს მიზიდულობის კანონის აღმოჩენაში, ხოლო ეილერს—სამი სხეულის უდიდესი ამოცანის გადაჭრაში. თანამედროვე მეცნიერებს კი ბუნების სხვადასხვა კანონების აღმოჩენაში ვშველი.

6. თქვენი აზრით, ყველაზე უფრო რა დაინტერესებთ მთვარეზე პირველად მოხვედრილებს?

ალპინისტები აქ ნახავენ მთებს, რომლებიც დედამიწის მთებს არ ჩამორჩებიან სიმაღლეში. ჩემი კრატერები იმხელაა, რომ თითოეულ მათგანში დედამიწის ყველა კრატერი ჩაეტევა. ვულკანოლოგებისთვის შემონახული მაქვს ერთი მოქმედი კრატერი. ვისაც ძლიერი შეგრძნებები უყვარს, ინებოს: აქ ღამით 150 გრადუსი ყინვაა, დღისით 130 გრადუსი სიცხე.

7. რა გსურთ გადასცეთ ჩვენს მკითხველებს?

ჩემი მთვარისეული სალამი, ჩემთან მალე მოღწევის სურვილი.

ბოლოს, მთვარემ გვთხოვა მისი სახელით რამდენიმე შეკითხვა დაგვესვა ჩვენი მკითხველებისათვის. აბა სცადეთ, იქნებ უპასუხოთ „მთვარის ვიქტორინას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაფრენები, რომლებიც არ მომხდარა

მთვარე! მრავალი საუკუნეა კაცობრიობის გრძნობა, ოცნება და ფანტაზია, შორეულ, მაგრამ, ციურ სხეულებს შორის ყველაზე ახლობელის —მთვარისაკენ არის მიმართული.

ლექსებსა თუ პროზაში, სატირულ თუ ფანტასტიკურ ნაწარმოებებში, მთვარისაკენ მიილტვოდნენ მეცნიერები, ფილოსოფოსები, სხვადასხვა დროისა და ქვეყნის რომანისტები.

* * *

XVII საუკუნის პოეტი სირანო დე ბერჟერაკი, დიდი მოაზროვნე და ოხუნჯი ადამიანი, მთვარეზე თავის მოგზაურობას აღწერს წიგნში: „სხვა ქვეყანა ანუ სახელმწიფოები და იმპერიები მთვარეზე“. პირველად იგი მთვარეზე აფრენას ნამით სავსე ბოთლით ცდილობდა, რომელსაც თითქოს მთვარე იზიდავს. ეს ცდა წარუმატებლად დამთავრდა და სირანო უკვე მაღლა, ღრუბლებში ასული, დედამიწაზე ჩამოვარდა. შემდეგ მან გააკეთა მანქანა, რომელიც მასში ანთებული საფეიერვერკო რაკეტის ძალით მიჰქროდა მაღლა. რას იფიქრებდა სირანო დე ბერჟერაკი, რომ ამ ხუმრობაში მომავლის უდიდესი წინასწარმეტყველება იმალებოდა და რომ, სამი ასეული წლის შემდეგ, რაკეტა კოსმოსური მოგზაურობის ერთადერთი საშუალება გახდებოდა.

ოთხმოცდათოთხმეტი წლის წინათ ჟიულ ვერნმა ზარბაზნის გასროლით მთვარეზე გააფრინა გმირები თავისი ერთ-ერთი შესანიშნავი წიგნისა: „დედამიწიდან მთვარემდე პირდაპირი გზით 97 საათსა და 20 წუთში“; ზარბაზნის ლულად ღრმა შახტი ჰქონდა გამოყენებული. უზარმაზარი ყუმბარა, რომელიც იმ დროისათვის ძვირფასი და იშვიათი მეტალის—ალუმინისაგან იყო გაკეთებული, კოსმოსში ატყორცნეს ას სამოცი ტონა პიროქსილინის აფეთქების ძალით.

* * *

კიდევ ერთი მეოცნებე—ჰერბერტ უელსი რომანში: „პირველი ადამიანები მთვარეზე“ გვაცნობს მთვარეზე მოგზაურ ადამიანს. ეს, პატარა ტანის დაბნეული ინგლისელი, ბატონი კეივორია. მან მის მიერვე მიღებული შენაერთის—კვივორატისაგან გაკეთებული ბურთით მთვარეს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ სპეციალური მოწყობილობით იგი თვითონვე არეგულირებდა მიზიდულობას.

* * *

1916 წელს გამოვიდა პატარა წიგნი: „დედამიწის გარეთ“. ამ წიგნის გმირები, სხვა ფანტასტიკურ წიგნებისაგან განსხვავებით, მთვარეზე რაკეტის საშუალებით ავიდნენ.

კიდევ მეტი: მათ სტარტი ხელოვნური თანამგზავრიდან აიღეს! ეს პირველი ფანტასტიკური ნაწარმოები იყო, რომელმაც იწინასწარმეტყველა მომავალი. თუმცა ეს არც იყო გასაკვირი, ამ წიგნის ავტორი ხომ უბრალო მწერალი—ფანტასტი არ იყო: წიგნი გამოჩენილ რუს მეცნიერს ციოლკოვსკის ეკუთვნოდა. დიდმა მეცნიერმა პირველმა დაამტკიცა, რომ ადამიანი ჩვენი პლანეტის ფარგლებს მხოლოდ რეაქტიული ძრავის საშუალებით გასცდება.



## მთვარის კითხვები

1. რატომ არის, რომ მთელი თვის განმავლობაში იცვლება ჩემი დაშორების მანძილი დედამიწიდან?
2. რატომ სულ ერთნაირად არ მოვჩანვარ?
3. ჩემი ზედაპირის რომელ ნაწილს ხედავენ ასტრონომები?
4. რატომ ვარ საღამოობით ყვითელი, ხან კი წითელი?
5. ხშირად ამბობენ—«მთვარის ცივი შუქი», სწორია ეს გამოთქმა?
6. რამდენად ძლიერად ვაშუქებ ყველაზე კაშკაშა პლანეტასთან შედარებით?

ჟურნალებიდან. „პიონერი“ № 11 და „ზნანიე—სილა“ № 11.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველაზე მეტად საჭირო

ლადო მრელაშვილი

## მოთხრობა

ნახ. ალ. ბანძელაძისა

წითლად გავარვარებული ღუმელი გუგუნებდა და გარშემო სახიამოვნო სითბოს აფრქვევდა.

ბებია ტახტზე მოკეცილიყო, კალთაში ნებივრად მოკრუტუნე კატას ყურს უჯდებდა, ახველებდა და თანაც ახალ ნანადირევს უცქეროდა.

მამა ორლულიან თოფს წმენდდა, დედა ხორცს ჭრიდა ლამბაქზე, ხოლო გოგონა ტოლჩით წყალს ასხამდა ზედ.

პატარა ბიჭუნა ორკაპ ჯოხზე გადაჭიმულ კურდღლის ახალთახალ ტყავს დახტრიალებდა, ეფერებოდა და ყურებზე და ბეწვზე სიფრთხილით უხვამდა ხელს.

ყველა დღევანდელი ნანადირევით იყო მოხიბლული.

ერთადერთი, ჯუმბერი მიმჯდარიყო კარადასთან და ჩუმი ხმით კითხულობდა წიგნს.

ეზოში ძაღლმა დაიყეფა.

მამამ კარი გამოაღო და გარეთ გავიდა. ორიოდე წუთის შემდეგ იხევ შემოვიდა და თან სიცივისაგან ლოყებაწითლებული ქალიშვილი შემოიყვანა.

ბიჭებმა ზევით აიხედეს, უცებ წამოხტნენ, გაიჭიმნენ, მარჯვენა ხელი ოდნავ თავს ზევით ასწიეს და ერთხმად დაიძახეს:

— უფროს პიონერხელმძღვანელს ჩვენი ხალამი!

ქალიშვილს გაეცინა.

— დასხედით, დასხედით. აბა რა საჭიროა ახლა? დღეს ხომ მნახეთ სკოლაში.

ბიჭები იხევ დალაგდნენ და მიწოდებულ ხკამზე ჩამომჯდარ სტუმარს ყურადღებით მიაჩერდნენ.

პატარა ბიჭუნამ ჯერ ირგვლივ შემოუარა ქალიშვილს, მერე წინ გაუჩერდა და მცირე ხანს დაკვირვებით უცქერდა, ბოლოს კი ახლოს მივიდა და მუხლებზე აადოდდა.

დედა შეუწყრა პატარას, მაგრამ მას აინუნშიაც არ მოსვლია მისი გაწყრომა და გაცხარებით უმტკიცებდა სტუმარს, კურდღელი მამამ კი არა, მე მოვკალიო, და დასამტკიცებლად, თავისი თოფიც მოიშველია, რომელიც დის კაბის ქამრით ჰქონდა მხარზე გადაკიდებული. შემდეგ ჩამოცურდა სტუმრის მუხლებიდან და ფეხაკრეფით გავიდა მეორე ოთახში.

პიონერხელმძღვანელმა ღიმილით გააყოლა თვალი ბავშვს და მამას უთხრა:

— ერთი კარგი ბიჭი კიდევ გეზრდებათ, პატივცემულო გრიგოლ.

— ვითომ?—დაეჭვებით იკითხა მამამ.

— ნამდვილად,—დაუდასტურა მოხუცმა.—ახლა მასწავლებლები ყველანი აქებენ მას. თქვენ, ბებო,—მიუბრუნდა იგი ბებიას.—კიდევ ხომ არ გაჯავრებთ?

— იჰ, შვილო, რაღაზე უნდა მაჯავრებდეს?—რასაც ვეტყვი, მიგონებს. ერთი ეგ არი, ღამე დიდხანს უნთია ხოლმე შუქი და აღარ მეძინება, მაგრამ ვეღარა მითქვამს რა—წიგნსა კითხულობს. აბა, როგორღა დავუშალო? ისწავლოს, გაიხაროს, შვილო... წინათ კი დიდი ქვის ნატეხი იყო, შვილო, ერთი ხეპრე და გაუგონარი. ერთხელ დედამისმა უთხრა: წადი ბოსტანში, კარტოფილი ამოიღეო...—ბებერს ხველა აუტყდა, ცოტა ხანს ახველა და მერე განაგრძო.—იმას გეუბნებოდი, კარტოფილი ამოიღეო. ეგ ეუბნება: კბილი მტკივაო. მაგრამ, როცა კაკლის მურაბით სავსე ქილა შემოდგა მაგიდაზე მაგის დედამა, მაგან ყველაზე დიდი კოვზი მოითხოვა. ხად გაგიგია, კბილი ტკიოდეს და მურაბა ჭამოს?! ეგრე ქვის ნატეხი იყო, შვილო.

სტუმარმა გაიღიმა და მერე მეგობრებს მიუბრუნდა.

— ჯუმბერ, გაკვეთილს კითხულობ?

— არა, პატივცემულო პიონერხელმძღვანელო, გაკვეთილები უკვე ვიხწავლეთ და ახლა პოლეგოის მოთხრობას ვუკითხავ ამათ.

— რომელი მოთხრობაა?

— „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“.

— ესენი ახლა გიხმენენ მარტო, თუ ადრეც ერთად კითხულობდით?

— ესენი თავიდანვე მისმენენ—ერთად დავიწყეთ კითხვა.

— ვახტანგ, მოგწონს?—შეეკითხა პიონერხელმძღვანელი იქვე მიმჯდარ ბიჭს.

— ამისთანა წიგნი მე ჯერ არ წამიკითხავს. დავამთავრებ თუ არა სწავლას, მაშინვე თვითმფრინავზე წავალ, უნდა მფრინავი გამოვიდე.

— აკი წინათ პოეტობას აპირებდი?

— ვაპირებდი, მაგრამ,—აქ მან ბიჭებს გადახედა.—მე მგონია მფრინავობა უფრო საჭიროა ჩვენი ქვეყნისათვის.

— მფრინავობა ძნელია, ვახტანგ, არითმეტიკა ძალიან კარგად უნდა იცოდე.

— ჰო, მასწავლებელმაც ეგ გვითხრა, და ახლა უკვე მივხვდით, რომ კლასში ყველაზე კარგად ჩვენ უნდა ვიცოდეთ არითმეტიკა.

— შენი გეოგრაფია რას შვრება, გოგი?—ახლა გოგის მიბრუნდა მოსული.

— ჩემი გეოგრაფია... ამ მეოთხედში სამიანს მივიღებ უეჭველად. რა საინტერესო ყოფილა. ძალიან საინტერესოა. აი, იმ მფინავს, ალექსეი მერესევს, რომ კარგად სცოდნოდა გეოგრაფია, უფრო კარგად გაიგნებდა გზას ჩვენებისაკენ.

— არა, მანდ რა გეოგრაფია უნდოდა?—არ დაეთანხმა ჯუმბერი.—უბრალოდ, ფეხები ჰქონია გაფუჭებული და იმიტომ ვერ მიდიოდა. ისე კი, გეოგრაფია, რასაკვირველია, საჭიროა და ისიც მფრინავისათვის.

— ნუთუ ამისგან მფრინავი იქნება?—კიდევ დაეჭვდა მამა.

— რატომ ვერ ვიქნები?—გაფიცხდა ჯუმბერი.—თუ კი უფეხო კაცი ფრინავდა, მე ფეხებიანი ვერ ვიფრენ?

— ეე, შვილო, ის სხვა მასალისაგან ჩანს ნაკეთები,—არ დაეთანხმა მამა.

— რატომ მაინცადამაინც სხვა მასალისაგან? ისიც, ალბათ, ჩემოდენა რომ იყო, პიონერი იყო, მერე კომკავშირში მიიღეს, მერე პარტიაში და...

— კი მაგრამ,—შეეკითხა სტუმარი.—გაკვეთილებს როდისღა ასწრებ, ან თამაშობას? ამბობენ ბევრს კითხულობხო.

— გაკვეთილები წინასწარ გადაკითხული მაქვს. კლასში მასწავლებელს დაკვირვებით ვუსმენ და, რაც წაკითხვის დროს ვერ გავიგე, მაშინ ვიგებ, ან ვეკითხები. ხოლო, მერე ერთხელ ან ორჯერ მიხდება წაკითხვა დასასწავლად. დრო კი ძალიან ბევრია საკითხავად და არც სხვაზე ნაკლებად ვერთობი. აი, ახლა ამათაც და ჩვენი რგოლის სხვა წევრებმაც ასე დაიწყეს მეცადინეობა. ჰოდა, ახლა უფრო კარგად იციან გაკვეთილები, ვიდრე წინათ. ხომ სწორია, გოგი?

— დიახ, ჩვენც ასე ვსწავლობთ.

— შენა, ვახტანგ?

— მეც. ახლა მინდა, რომ ჩვენს რგოლშიც ასე ვიმეცადინოთ უნდა ვუთხრა ჩვენი რგოლის ხელმძღვანელს ახლავე მოვიწვიოთ რგოლის შეკრება, თორემ გაგვასწრეს წინ ამათ. ჩვენი რგოლი რად უნდა იყოს ჩამორჩენილი? ჯუმბერიც გვპირდება დაგეხმარებითო. კითხვით კი მეც ახლა ღამე დავიწყე კითხვა და, თუ კარგი წიგნიც შემხვდა, შუაღამემდის ვკითხულობ ხოლმე.

— გვიან ღამით არ ვარგა კითხვა,—შენიშნა პიონერხელმძღვანელმა.—როგორც არ უნდა გაგიტაცოს, თავი დაანებე. ათ საათს ნუ გადააცილებ—მერე მავნებელია კითხვა: კარგა ხანს არ გეძინება წიგნიდან მიღებული შთაბეჭდილებების ქვეშ და დილით მოთენთილი დგები. ხომ სწორია?

— სწორია, სწორი. მეც ხშირად დამმართნია ასე,—არ დააცადა ვახტანგს ჯუმბერმა.

— ჰოდა, შენს ასაკში კი საჭიროა რვა-ცხრა საათი იძინო ღამე, რომ დილით ჯანსაღად, ცოცხლად წამოდგე. დილის ვარჯიშს არ ასრულებ?

— როგორ არა, რადიოს ჩავრთავ ხოლმე და იმაზე ვვარჯიშობ, თუმცა ბებიაჩემმა დაგიმალათ, რომ მაგაზე მიწყრება.

— ის მფრინავიც ალბათ იმიტომ იყო ასეთი ყოჩაღი, რომ სულ ვარჯიშობდა.—თქვა ვახტანგმა.

—მაშ, თქვენ გადაწყვეტილი გაქვთ, რომ მფრინავები გამოხვიდეთ?—ერთხელ კიდევ ჰკითხა სტუმარმა ბავშვებს.

— სამივემ გადავწყვიტეთ, პატივცემულო პიონერხელმძღვანელო.

— კარგია, ძალიან კარგია, ბავშვებო.—მოუწონა პიონერხელმძღვანელმა.

სტუმარმა დაათვალიერა ჯუმბერის კუთხე, გოგიხა და ვახტანგისაც შეეპირდა, თქვენთანაც მოვალო და, მიუხედავად მასპინძლების თხოვნისა, აუცილებელი საქმე მოიმიზეზა და ვახშმად დარჩენაზე უარი განაცხადა.

ბიჭებმა ჭიშკარს იქით გააცილეს თავიანთი პიონერხელმძღვანელი და უკანვე შემობრუნდნენ მტკიცე გადაწყვეტილებით: რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, მფრინავები გამოხულიყვნენ.

* * *

მახ შემდეგ თვითმფრინავებს აკეთებდნენ ჩვენი ბიჭები.

ყველაზე ადვილად ფუტურისაგან კეთდებოდა. მართალია, გამძლეობა არა ჰქონდა, მაგრამ ადვილი საკეთებელი იყო და თანაც ლამაზი და მსუბუქი. მფრინავები პურის გულისა და ცომისაგან კეთდებოდა. მაგრამ ყველაფერი ეს უმოძრაო იყო და არც მაინცდამაინც საამაყო.

ბოლოს, ცარიელ ძაფის სახვევ კოჭს თავში აქეთ-იქით პატეფონის ორი გაცვეთილი ნემსი ჩაურჭეს, ზედ თუნუქისაგან გამოჭრილი, გვერდზე გადაბრეცილი პროპელერი ჩამოაცვეს და ამ კოჭს ნახვრეტში ჩხირი გაუყარეს. კოჭს ბაწარი ჰქონდა მობმული. მარცხენა ხელით ჩხირი ეჭირათ ზედ ჩამოცმული კოჭით, ხოლო მარჯვენათი—ზედ დახვეული ბაწარი. ბაწარი გამოკვრიხას გაიშლებოდა, კოჭი ჩხირზე დატრიალდებოდა, ხოლო კოჭის თავზე დამაგრებულ ნემსებში ჩასმული პროპელერი მოწყდებოდა სამაგრს და ზუზუნ-ტრიალით ჰაერში აიჭრებოდა.

თუ ბაწარი გრძელი იყო და ღონივრად გამოკრული, მაშინ პროპელერი უფრო დიდხანს ძლებდა ჰაერში და ბიჭების სიხარულსაც საზღვარი არა ჰქონდა.

გაზაფხულის პირამდე ასე ერთობოდნენ ჩვენი გმირები და სულ დღეებს ითვლიდნენ, როდის ერგებოდათ თვითმფრინავში ჯდომა და მისი მართვა. გაზაფხულის პირზე კი ახალი გასართობი გაუჩნდათ.

პროპელერი მოწყდებოდა სამაგრს და ზუზუნ-ტრიალით ჰაერში აიჭრებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტის ბოლოს პიონერხელმძღვანელმა კოლმეურნეობის სათბურის დასათვალიერებლად წაიყვანა რაზმეული და დიდად განცვიფრებულნი დარჩნენ ჩვენი მეგობრები, როდესაც დასხმული ჰამიდორი, ბადრიჯანი და წიწაკა დაინახეს.

ყველაზე მეტად კი თალებად გადაყვანილ ჰიგოებზე ასულმა კიტრმა გააოცა ისინი.

— კიტრი ხომ მიწაზეა, აქ რა უნდა ჰიგოზე, განა ვაზია?—კაუჭა ცხვირს ისრესდა ვახტანგი.

— მართალია, კიტრი მიწაზე ირთხმება, მაგრამ აქ ადგილის სიცოტავის გამო ზევით ავუშვით,—უხსნიდა აგროტექნიკოსი.—რა უჭირს, ულორტი ჰიგოს აჭყვება, ზედ დაეხვევა და კიტრსაც ხანჯალივით გვერდზე დაიკიდებს.

— ესა? ეს რაღად გინდათ, რომ დაგიგროვებიათ ამდენი ლერწი? ამით ათბობთ სათბურს?—იკითხა ჯუმბერმა.

აგროტექნიკოსს გაეცინა.

— სათბურს შეშითა და ორთქლით ვათბობთ, ხოლო ეს ლერწი კი საძირეა, რომელზედაც კვირტი უნდა დაიმყნას. აი, ორი-სამი დღის შემდეგ დაიწყება მყნობა და გამოსაყვანად გამზადება.

— მერე? რომ გაამზადებთ, მაშინვე რგავთ?—დაინტერესდა გოგი.

— არა, მაშინვე არ ირგვება ნამყენი. ჯერ განსაკუთრებულ ყუთებში ჩაიწყობა და შუა-შუა ნახერხი ჩაეყრება. თექვსმეტ-ჩვიდმეტი დღე სათანადო ტემპერატურის ქვეშ იქნება. აქ კვირტი გაიღვიძებს, ნახერხის ზევით ამოყოფს თავს და გვამცნობს, რომ გაიხარებს ვენახში და ნაყოფს მოგვცემს.

— მერე?—აღარ დააცადა ჯუმბერმა.

— მერე არაფერი. გავიტანთ სავენახედ გამზადებულ ფართობზე და დავრგავთ.

— ყველას შეუძლია მყნობა?

აგროტექნიკოსმა გოგის თავზე ხელი დაადო და თმები მოუთელა.

— ყველას არა, ძმობილო. მყნობას სწავლა უნდა.

— ვენახის გაშენებასაც?

— რა თქმა უნდა, ვენახის გაშენებასაც.

— ყუთებში ჩაწყობას და ნახერხის ჩაყრასაც?

— რა თქმა უნდა, მაგის ცოდნაც საჭიროა, ოღონდ ნახერხი რბილი ხისა უნდა იყოს შერჩეული. საუცხოოა ცაცხვისა და მურყნისა, ხოლო თუ ძნელია მათი შოვნა, მაშინ წიფლის ნახერხითაც იოლად გავდივართ.

— ჩვენც შეგვიძლია დავამყნათ?—გაუბედავად იკითხა ჯუმბერმა.

— ვინც ისწავლის, ყველას შეუძლია...

— დარგვაცა და ვენახების მოვლა-გაშენებაც?

— რა თქმა უნდა, მოვლაცა და გაშენებაც სწავლაზეა დამოკიდებული.

სამმა მეგობარმა ერთმანეთს გადახედა და დიდი პატივისცემით შეაჩერდა აგროტექნიკოსს.

ბავშვები მეტად კმაყოფილნი დაბრუნდნენ სახლში. გადაწყვიტეს მყნობის დაწყებისთანავე სათბურში დამკვიდრება და ეს გადაწყვეტილება სისრულეშიც მოიყვანეს.

პირველად ცოტა ათვალწუნებით შეხვდათ ნაცნობი აგროტექნიკოსი, რადგან იფიქრა, ბიჭები ცუღლუტობენ და გაკვეთილების სწავლას ერიდებიანო; მაგრამ, როცა მათს სიბეჯითეში დარწმუნდა, ნება დართო და მალეც გაიშეგირდა.

მყნობის დროს სხვათა გაფუჭებულ ლერწებს აძლევდა და თანაც ასწავლიდა როგორ უნდა დაეჭირათ დანა ან ლერწი, როგორ უნდა დაემყნათ და შეეხვიათ საძირისა და კვირტის შეერთების ადგილი.

— დანა მჭრელი უნდა იყოს,—არიგებდა ის.—ქერქი არ უნდა გაუფუჭო ლერწს. როდესაც ენას უჭრით, დანა ოდნავ თქვენსკენ გადმოსწიეთ და ისე შეაერთეთ ორივე, რომ შეერთების ადგილში ჰაერი არ გადიოდეს. მხოლოდ, ფრთხილად იყავით, ბიჭებო, ხელი არ გაიჭრათ, არა აიტეხოთ რა. ერთ ყუთს თქვენ მოგცემთ და იმაში ჩააწყეთ თქვენი ნამყენები. ნახერხიც თქვენივე ჩაუყარეთ.

— აი, ასე, ბიჭებო. ყელის შემოტკეპნა აუცილებელია, რომ შიგ ჰაერი არ ჩაიპაროს და საძირე არ გამოაშროს.

პატარებმა აგროტექნიკოსის გულუხვობა შორს დაიჭირეს და ჯუმბერის მამას დაედრიჯნენ, რომელიც კოლმეურნეობის სახერხზე მუშაობდა:

— ძია გრიგოლ, ლერწის ჩასაწყობი უნდა გავაკეთოთ და, მორებს რომ გვერდს ჩააჭრით, ჩვენ მოგვეცით. იმდენი მოგვეცით, რაც ერთ ყუთს ეყოფა.

ძია გრიგოლმაც მეტი აღარ ახვეწნინა და ორი იმდენი მისცა, რამდენიც ითხოვეს.

— ვინ იცის, ერთი გაგიფუჭდეთ და მეორე გამოგადგებათ, ბიჭებო.

— კარგი, წავიღებთ, მაგრამ ჯერ მაგ მუხის ხეს ნუ დახერხავთ, თორემ მურყნის ნახერხში აირევა. ის ცაცხვის ნახერხიც მოგვეცით, გვერდზე რომ ყრია.

არც ეს დაუჭირა მათ ძია გრიგოლმა და მეგობრები მეტად გახარებული დარჩნენ, რაკი სურვილი აისრულეს.

აპრილის ბოლოს მევენახეობის ბრიგადები მინდვრებში გავიდნენ და ვაზის რგვაც გაჩაღდა.

ჩვენმა მეგობრებმაც მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს მინდვრად გასულიყვნენ და ენახათ ვენახის გაშენება. ამ სურვილს ისიც აძლიერებდა, რომ ხმა დავარდა: კოლმეურნეობაში ახალი აგრონომი მოვიდა და შრომის გმირიაო.

გოგის უფროსმა ძმამ შეიპირა ბიჭები და მინდორში წაიყვანა.

იმ წელს კოლმეურნეობა დამატებით ოცდათვრამეტ ჰექტარ ახალ ვენახს აშენებდა და რგვა კარგა ხანს გაგრძელდებოდა.

აქ სამივემ სცადა რგვა, რადგან ძალიან ადვილ საქმედ მიიჩ-

ნიეს, მაგრამ მეტად გაოცებული დარჩნენ, როდესაც თავზე ვიღაც მაღალი კაცი დაადგათ და ნამუშევარი დაუწუნათ.

— სარგავი პალო უფრო ღრმად ჩაუშვით მიწაში, უფრო ღრმად ჩაუშვით, თორემ ვაზის დარგვისას, როცა საძირე არ ჩადის, დამყნილ ადგილში ჭიდებენ ხელს და ძალით სურთ ჩატენონ. ეს კი უეჭავს დამყნილ ადგილს, აზიანებს ნამყენს, და ადვილი შესაძლებელია, სრულიადაც არ გაიხაროს.

მაღალმა კაცმა კეფაზე ალერსით მოუთათუნა ხელი ბიჭებს და ვახტანგს სარგავი პალო გამოართვა. ზომაზე ჩაასო, ფრთხილად ამოიღო, მის ადგილას ნამყენი ჩარგა და ყელზე მიწა აქეთ-იქიდან სწრაფად შემოუტკეპნა.

— აი, ასე, ბიჭებო, ყელის შემოტკეპნა აუცილებელია, რომ შიგ ჰაერი არ ჩაიპაროს და საძირე არ გამოაშროს. აჰა, დაიჭირეთ ახლა. დაგაზულ ადგილზე არ გადმოხვიდეთ და მწკრივი არ გაამრუდოთ, ბიჭებო. მხოლოდ ვარგისი ვაზები არ ჩარგათ აქა. აი, ისინი დარგეთ, რომლებიც დაწუნებულია და არ გაიხარებს. ხოლო როცა გაიზრდებით და დარგვასაც ისწავლით, მოდით მაშინ და მწკრივებშიც გამუშავებთ.

— ვინ არი ეგ კაცი, ელიზბარ?—ჰკითხეს გივის ძმას მეგობრებმა, როცა მაღალი კაცი სხვა მხარეს წავიდა.

— ჩვენი აგრონომია, ახლახან გადმოიყვანეს ჩვენთან ნასამხრალის მეურნეობიდან.

— ის ოქროს ვარსკვლავი—გმირისა იყო?

— მაშა, შრომის გმირისა.

— ხედავ,—მიუბრუნდა ჯიმშერი ვახტანგს.—მარტო ომებში არ იღებენ გმირობას, თურმე შრომაშიაც ხდება.

— მე წინათაც ვიცოდი,—თავი გამოიდო ვახტანგმა.

— რა იცოდი!—არაფერიც არ იცოდი. შენ არ ამბობდი, მფრინავი უნდა გამოვიდე, გმირი ვიქნებიო?

— ბიჭოს!—გაიკვირვა გოგიმ,—შენ კი არ ამბობდი მაგას?

ჯუმბერმა ცოტა დაირცხვინა.

— მართალია, ვამბობდი, მაგრამ... ახლა ხომ ხედავ, არც ომში წახვალ, და გმირიც გახდები.

— მართალია!—დაემოწმა უცებ ვახტანგი.—ფეხებიც მთელი შეგრჩება და ვენახსაც გააშენებ.

— სწორია. მე მგონია ჩვენს ქვეყანას ახლა აგრონომები უფრო სჭირდება. ვენახს გააშენებს, პურს მოიყვანს, სიმინდს, ყურძენს და ვინ იცის, კიდევ რას.

— მართალია, ბიჭებო. მაგრამ მოდით ჩვენს პიონერხელმძღვანელსაც ვკითხოთ რჩევა, ვნახოთ რას გვირჩევს.

— ეჰ, რად გვინდა. ის არ იყო, მფრინავობა რომ მოგვიწონა? აგრონომობას დაგვიწუნებს.

— არა, ბიჭებო, არა მგონია. ეგ წინათ პოეტობასაც გვიწონებდა, მაგრამ, ნახეთ, მფრინავობა მოგვიწონა?

— მფრინავობა მოგვიწონა, მაგრამ პოეტობა კი არ დაუწუნია.

— არ დაუწუნია, მაგრამ, რაკი მფრინავობა მოგვიწონა, აგრონომობას დაგვიწუნებს.

— მაინც ვკითხოთ.

— კარგი, ვკითხოთ.

და სალამო ხანს, როცა პიონერხელმძღვანელს თავიანთი ხურვილი მოახსენეს მეგობრებმა, მან გაიხარა და დიდად მოუწონა.

— ძალიან კარგია აგრონომობა, ბავშვებო, მაგრამ ბუნებისმეტყველება, ხოლო შემდეგ კლასებში ქიმია, ფიზიკა და კიდევ სხვა საგნები უნდა იცოდეთ კარგად.

— კარგად გვეცოდინება, პატივცემულო პიონერხელმძღვანელო.

— გამოვალთ კი აგრონომები?

პიონერხელმძღვანელს გაეცინა.

— ნუ გეშინიათ, გამოხვალთ. მხოლოდ მტკიცედ კი გაქვთ გადაწყვეტილი?

— მტკიცედ გადავწყვიტეთ, პატივცემულო პიონერხელმძღვანელო, რადაც არ. უნდა დაგვიჯდეს—აგრონომები გამოწვიდეთ.

მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ვაზის რგვა და კოკოლების გაკეთება მიმდინარეობდა, ჩვენმა მეგობრებმა აგრონომი გაალმერთეს და ყველაფერში მას ბაძავდნენ: დადიოდნენ ისე, როგორც ის დადიოდა, ლაპარაკობდნენ ისე, როგორც ის ლაპარაკობდა, ხელებსაც კი ისე იქნევდნენ საუბრის დროს...

სკოლიდან მოსვლის შემდეგ ვენახებში ჩასვლას დრო სჭირდებოდა, ჩასვლის შემდეგ იქ ტრიალსაც დრო სჭირდებოდა, იქიდან ამოსვლასაც დრო.

— არაფერია, ბიჭებო,—ამშვიდებდა მეგობრებს ჯუმბერი.—სამაგიეროდ აგრონომები გამოვალთ. აბა, მაშინ ნახეთ, რამდენი ყურძენი, ჩურჩხელა და ვაშლი ექნება ჩვენს ქვეყანას.

— ჩირიც ბევრი ექნება, თათარაც და ღვინოც,—ბანს აძლევდა ვახტანგი.

— პური და სიმინდი რად დაგავიწყდათ?—აგონებდათ გოგი.

— მართალია. ლობიო და კარტოფილიც უნდა მივუმატოთ.

ერთ დღეს კი, აგრონომობის მაძიებლებს ერთბაშად სრულიად შეუტრიალდათ სურვილის ბორბალი...

მაისის ბოლოს ცხარე დღეები დაიჭირა და მთებზე თოვლის ნასახი ნელ-ნელა გაქრო. ადიდებული მდინარეები ერთბაშად მიაწყდნენ კალაპოტებს და ერთი ზათქითა და შხუილით დაეშვნენ ბარისაკენ.

ამას ზედ მაისის წვიმები დაერთო და ბევრგან წყალმა კალაპოტი გადმოლახა და ნათესებს ეძგერა.

სოფელში ბარე ორიოდე ბოსტანი წალეკა, წაიღო და გოგის სახლის გვერდზე მიშენებული ჯებირი გაანგრია.

რაიონის წყალთა მეურნეობიდან სასწრაფოდ მოვიდნენ, ინჟინერი მოიყვანეს და ჯებირის შეკეთებასა და ახლის ჩადგმასაც შეუდგნენ. ახლა კი იფიქრეს ბიჭებმა, რომ აგრონომობა კი არა, თურმე ყველაზე მეტად ინჟინრობა ყოფილა ამ ქვეყნად საჭირო, და მაშინვე პიონერხელმძღვანელიან გაიქცნენ.

პიონერხელმძღვანელმა მოუწონა ბავშვებს მტკიცე გადაწყვეტილება და სათანადო საგნებიც დაუსახელა, რომლებიც ყველაზე



წვიმის დროს ვეებერთელა ოელას შეაფარეს თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭირო იყო ინუინრად გახდომისათვის. მაგრამ ჩვენს მეგობრებს ეს ხურვილი უმალ გაუქრათ, როგორც კი სოფელზე ჩამომდინარე ხევი ადიდდა.

შუადღისას უცებ შეკრა ცამ პირი. თეთრი ღრუბლებით შეჭორფლილი ცა შავად ჩამოღამდა. გაიელვა, დაიჭექა და დაუშვა კოკისპირულად. მთიდან მოვარდნილი მდინარე სოფელზე დაეშვა და მერე სოფლის ბოლოს საძოვრებისა და ჯეჯილებისაკენ გაივაკა.

ჩვენი მეგობრები რამდენიმე დღის დათხოვნილი იყვნენ უკვე ზაფხულის არდადეგებზე და სოფლის ბოლოს დანავარდობდნენ ხევის ნაპირებზე. ადგილებს არჩევდნენ მომავალი ჯეჯირების ჩასადგმელად, რათა ვენახები და ყანები, ბაღები და საძოვრები წალეკვისაგან გადაერჩინათ.

წვიმის დროს ვეებერთელა თელას შეაფარეს თავი და, როგორც კი გადაიღო წვიმამ, სახლისაკენ გაქანებულნენ.

ის იყო, მეზობელ სოფლიდან მომავალ გზის პირზე გამოვიდნენ, რომ ადიდებული ხევის გაღმა ნაპირთან გაჩერებული ძროხა და ხბო დაინახეს. პირუტყვს მდინარისაკენ მიექცია პირი და საბრალოდ ბღაოდა.

ბავშვებმა ირგვლივ მიმოიხედეს.

— წეღან რომ ხმა შემოგვესმა, გახსოვთ, ბიჭებო? — მიუბრუნდა დანარჩენებს ვახტანგი.

— ჰო, მართლა, თითქოს „ვაიძე, დედაო“ დაიძახა.

— მეც რაღაც ამის მსგავსი მომესმა.

— ალბათ, ეს იქნებოდა.

— ახლა რა ვქნათ?—იკითხა ჯუმბერმა.

— რა უნდა ვუყოთ?—სოფელში ავიტანოთ.

— ჩვენს სოფელში?

— მაშ სადა?

— იქნებ ჩვენი სოფლელი არ არის?

— მოდი, სახე მოვბანოთ.

ბიჭებმა სახე მოიბანეს და, როდესაც ლამი მოაცილეს, ვერცერთმა ვერ იცნო დამხრჩვალი.

— ალბათ რუსისპირელია.

— ჰო, ვარდისუბნელი არა ჩანს.

— რა ვუყოთ, წავიღოთ?

— სადღა წავიღოთ, ხომ ხედავ, მკვდარია.

ამასობაში გზაზე მომავალი მგზავრი მოახლოვდა და ბიჭები მისწი-მოსწია.



პირუტყვს მდინარისაკენ მიექცია პირი და საბრალოდ ბღაოდა.

— ნეტა ვის დარჩა ეს ძროხა?

არავინ ჩანდა. მხოლოდ შორს, გზაზე, ვიღაც მარტოხელა კაცი მოდიოდა ნელი ზოზინით.

— შეიძლება იმ კაცისაა.

— არა მგონია, ბიჭებო, დარჩებოდა ვისმეს. მოდით, სოფელში გავრეკოთ.

— მერე, წყალში არ გინდა გასვლა?—იკითხა ვახტანგმა.

— ქვევით ჩავუვლეთ, იქ წყალი თხელია და ადვილად გავალთ.

— კარგი, ჩავუვლეთ,—დაეთანხმა გოგი.

ის იყო, შეტოპეს წყალში მეგობრებმა, რომ წინ მიმავალი ჯუმბერი უცებ შედგა და უკან მოიხედა.

—ეს რა არი, ბიჭებო?

ბავშვებმა შეხედეს მეგობარს და, როცა შიშისგან დაღრეჯილი სახე და ფართოდ დაჭყეტილი თვალები დაინახეს, მის მზერას თვალი გააყოლეს და თითონაც თმები ყალყზე დაუდგათ.

თავთხელში ვიღაცის შიშველი მუხლი ამოჩრილიყო და მცირე ტალღათა მიხლაზე აქეთ-იქით ქანაობდა.

პირველად გონზე გოგი მოვიდა და გავარდა წინ.

— არიქა, ბიჭებო, წყალს დაუბრჩვია. მივეშველოთ.

ბიჭები რამდენიმე წამს ისევე დარჩნენ, მერე ისინიც დაიძრნენ და მეგობარს მიეშველნენ.

დამხრჩვალი, როგორც იყო, ამოათრიეს შლამიდან, ასწიეს და რის ვაი-ვაგლახით ნაპირზე გამოიტანეს.

— აბა, ბიჭებო, დამიჭით ეს ქოლგა და ჩემოდანი.

ბიჭებმა შეხედეს და იცნეს შალვა ექიმი.

მოხუცს ქოლგა და ჩემოდანი გამოართვეს. და ეს თეთრთმიანი კაცი დამხრჩვალის გახინჯვის შემდეგ მისთვის უჩვეულო სიჩქარით ეცა იქვე მდგარ შვინდლარწის ბუჩქს და ცერზე მსხვილი ტოტი ჩამოსჭრა.

ექიმი ამ ჯოხს თან თლიდა და თან ბავშვებს ელაპარაკებოდა.

— დიდიხანია, რაც დაიხრჩო?

— არა მგონია, შალვა ექიმო, ერთი თხუთმეტი წუთი იქნება, რაც უვირილი გავიგონეთ. შეიძლება ესა ყვიროდა.

ექიმმა გათალა ჯოხი, დანა ჯიბეში ჩაიდო სწრაფად და მიწაზე გაშოტილს მიაშურა. ფრთხილად გადაუწია გალურჯებული ტუჩები. კბილებშუა ნელ-ნელა ჩააცურა გათლილი ჯოხი და შეკრული კრიჭა ძლივს გაუხსნა. მერე ბიჭებს ანიშნა წყალი მოეტანათ. მათაც ნაბდის ქუდებით დაიწყეს ზიდვა.

ექიმმა გამოურეცხა და გამოუსუფთავა პირი სილისა და შლამისაგან, შემდეგ შლამისაგან მოზრდილი კოკოლა გააკეთებინა ბიჭებს და მუცლით ზედ გადაჭიდა. დამხრჩვალს პირიდან მღვრიე წყალი წამოუვიდა.

მერე ისევ მიწაზე დააწვინა და ხელებითა და ფეხებით ხელოვნური სუნთქვა დააწყებინა.

რამდენიმე ხნის შემდეგ დამხრჩვალს ლოყები ოდნავ შეუფაკლდა, თვალები ცოტაზე გაახილა და ისევ მალე მილულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„გამოჩენილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ირაკლი აბაშიძეს 50 წელი შეუსრულდა.

# ირაკლი აბაშიძე

სხვა მრავალმხრივ მოღვაწეობასთან ერთად, ირაკლი აბაშიძე ჟურნალ „პიონერის“ უახლოესი თანამშრომელიც არის. ბევრი მისი საუკეთესო ლექსი პირველად ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნდა. ახალგაზრდობის წლებში ირაკლი აბაშიძე ჟურნალ „პიონერს“ რედაქტორობდა.

ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია და მისი მკითხველები ულოცავენ საყვარელ პოეტსა და მოამაგეს მისი დაბადების 50 წლისთავს და კიდევ მრავალ ახალ ნაწარმოებს მოელიან მისგან.

შენი ბავშვობა არის სიამე,
არის სიმღერა და სიხარული;
ტკბილმშობლიური, ალერსიანი
თავს დაგტრიალებს შენი მამული.

შენი ბავშვობა არის სიამე,
სევდის გაქრობა, ცრემლის დაშრობა,
სწავლა, მზადება ხალისიანი,—
აი, რა არის შენი ბავშვობა.

ირ. აბაშიძე

ექიმმა, როგორც იყო, მოასულიერა პატარა მეძროხე, ხაზაფხულო პალტო გაიხადა, თბილად შეახვია, აიხუტა და გზას გაუდგა.

— აბა, ბიჭებო, ერთმა ეგ ქოლგა და ჩემოდანი წამოიღეთ, დანარჩენებმა კი ეგ „ნახირი“ გამორეკეთ.

მეგობრებმა ძროხა და ხბო საავადმყოფოს ეზოში შერეკეს, ჩემოდანი და ქოლგა ექიმის კაბინეტში დააწყეს და უკან გამობრუნდნენ.

— ნახეთ, ბიჭებო, რა ქნა!—მიუბრუნდა ბიჭებს ჯუმბერი.

— აბა, კაცო, მკვდარი გააცოცხლა.—დაუკრა კვერი გოგიმ.

— პაპ—პაპ—პაპ—პაპ! ეს რა ყოფილა, კაცო!—გაიოცა ვახტანგმაც.

— ეგ რომ არა ყოფილიყო, ეხლა მკვდარი იქნებოდა ეგ ბიჭი.

— შენ ეგა სთქვი და!

— აი, შენი ინჟინრობა!—ხედავ, თურმე ყველაზე მეტად ამ ქვეყანაზე ექიმი ყოფილა საჭირო.

— ნამდვილად, ნამდვილად. ის რომ არ შემოგვხვწრებოდა, უნდა მომკვდარიყო კაცი. ნახეთ, ხანამ ის არ მოვიდა, ჩვენ როგორ გაშტერებულები ვიდექით?

— არა, ძმაო, დღეიდან, გეუბნებით, რომ თუ გამოვალ რამე, ექიმი უნდა გამოვიდე.

— მეც, ვახტანგ, მეც უეჭველად ექიმი გამოვალ,—მხარი დაუჭირა ჯუმბერმა.

— არც მე ვარ თქვენზე ნაკლები,—არ ჩამორჩა გოგი.—ახლა კი ნამდვილად დავრწმუნდი, რომ ექიმი, თურმე, ყველაზე საჭირო ყოფილა.

...პიონერხელმძღვანელმა კიდევ ერთხელ მოიხმინა თავისი პიონერების სურვილი, კიდევ ერთხელ გაიცინა, კიდევ ერთხელ მოიწონა და კიდევ ერთხელ იკითხა:

— მტკიცედ კი გაქვთ გადაწყვეტილი, ბავშვებო?

— სამივემ მტკიცედ გადავწყვიტეთ, პატივცემულო პიონერხელმძღვანელო.

ის იყო, წახვლას აპირებდნენ, რომ ჯუმბერი უცებ მოტრიალდა და დარცხვენითა თქვა:

— შეიძლება ერთი შეკითხვა, პატივცემულო პიონერხელმძღვანელო?

— თქვი, რა გინდა, ჯუმბერ?

— იცით რა, აი... როცა ჩვენ პოეტობა გადავწყვიტეთ, თქვენ მოგვიწონეთ, ძალიან კარგიაო და გვითხარით, რომ ქართული ენა და რუსული კარგად უნდა გვცოდნოდა. შემდეგ, როცა პოეტობა მივატოვეთ და მფრინავობა გადავწყვიტეთ, თქვენ ისიც მოგვიწონეთ და გვითხარით, რომ არითმეტიკა და გეოგრაფია ყველაზე კარგად უნდა გვცოდნოდა. ამის მერე აგრონომობა და ინჟინრობა მოვიხურვეთ და თქვენ ორივე მოგვიწონეთ.

ჯუმბერი მცირე ხნით გაჩუმდა.

— მერე, მერე, ჯუმბერ, განაგრძე.

— ჰოდა, პატივცემულო პიონერხელმძღვანელო, — განაგრძო კვლავ ჯუმბერმა.—ახლა ექიმობა მოვიხურვეთ და, ეხეც არ დაგიწუნიათ,—მოგვიწონეთ. ახლა კი ვეღარაფერი გამიგია, აქედან რომელია ყველაზე კარგი და რომელია უფრო საჭირო.

პიონერხელმძღვანელმა ტკბილად გაიღიმა, ბავშვებს თმებზე ხელი სიყვარულით გადაუხვა და უთხრა:

— აი, რა, ბავშვებო! ჩვენს ქვეყანაში ყველა პროფესია და ხელობა საჭიროა და მოსაწონი: მფრინავი იქნები, ექიმი, ინჟინერი, აგრონომი თუ პოეტი. ყველა ეხენი ხალხის მსახურნი არიან. კარგად იხწავლეთ, საშუალო სკოლა კარგი ნიშნებით დაამთავრეთ და მერე ყველა თქვენგანს შეუძლია რომელიც სურს, ამოირჩიოს. თუმცა პოეტობა საშუალო სკოლიდანაც შესაძლებელია, თუ ამისი ნიჭი ნებას გაძლევთ; ხოლო დანარჩენებს რაც შეეხება, ეს უკვე უმაღლეს სახწავლებელს შეუძლია მოგცეთ. მანამდე კი ყველა საგანი კარგად უნდა იხწავლოთ, რათა თქვენი აღმზრდელი სკოლა, მასწავლებლები და მშობლები არ შეარცხვინოთ.

ჩვენი მეგობრები კარგა ხანს იყვნენ თავჩაქინდრულნი და მერე ნელ-ნელა გამოიერკვნენ, გამოემშვიდობნენ პიონერხელმძღვანელს და დაფიქრებული სახეებით გაუდგნენ გზას შინისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩაძირული მედალი

სპორტის დამსახურებული ოსტატის — პ. მშვენიერაძის ნაამბობი

გასული ზაფხულის ერთ კვირა დღეს თბილისის ზღვაზე ნავით ვსეირნობდი. აგვისტოს ცხელი დღე იდგა და ათასობით დიდხა თუ პატარას აევსო იქაურობა. ჩემს შორიახლოს, ერთ მოზრდილ ნავში, ბავშვებს მოეკალათებინათ. ეტყობოდა, ყველას მენიჩბეობა უნდოდა, ერთმანეთს ხელიდან ჰგლეჯდნენ ნიჩბებს. უცებ, მათი მხრიდან ყვირილი შემომესმა. მივიხედე და გულალმა გადმობრუნებულ ნავის ფსკერსლა მოვკარი თვალი. ჩემზე ახლოს მათთან სხვები აღმოჩნდნენ და, როგორც იქნა, შიშისა და სიცივისაგან გალურჯებული რვა ბავშვი ნაპირზე გამოიყვანეს.

ზღვის ნაპირი ხალხით რომ არ ყოფილიყო სავსე, და თანაც მშველელებს რომ არ ეყოჩაღათ, დარწმუნებული ვარ, რვავე წყლის მსხვერპლი გახდებოდა.

წყალთან თამაში ყოველთვის საშიშია, ხიფათისაგან, ცხადია, არავინ არის დაზღვეული. მე იმან განმაცვიფრა, რომ არც ერთმა ბავშვმა ცურვა არ იცოდა: შემთხვევა ნაპირიდან სულ რაღაც 20-25 მეტრზე მოხდა და ამ მანძილის გაცურვა ვერც ერთმა ვერ შეძლო.

ამ შემთხვევამ მე ერთი საინტერესო ამბავი მომაგონა. ეს 1956 წელს, შორეულ მელბურნში, მე-16 ოლიმპიურ თამაშებზე მოხდა. შეჯიბრებებისაგან თავისუფალ დროს ვენდურის ტბაზე ნიჩბოსანთა ასპარეზობას ვუყურებდი. საბჭოთა სპორტსმენმა, 18 წლის ივანოვმა, რომელიც ასეთ დიდ შეჯიბრებაში პირველად მონაწილეობდა, უცხო მაყურებელთა და ჩვენდა გასაკვირად, სძლია ბევრ ძლიერ მოწინააღმდეგეს და ფინიშთან მეორე მივიდა. დიდი გამარჯვების სიხარულით სახეგაბრწყინებულმა ივანოვმა ნავი ნაპირზე, ფიცარნაგთან მიაცურა, სადაც მსაჯთა კოლეგიის მაგიდა იდგა და მთავარი მსაჯი გამარჯვებულებს მედლებს გადასცემდა. ივანოვმა ხელი გაუწოდა მსაჯს, ჩამოართვა მედალი, მაგრამ სიხარულისა თუ დაბნეულობისაგან, ჯილდო ხელიდან გაუსხლტა. „ო-ოჰ!“—ტალღასავით მოედო სინანულის ამოძახილი ტრიბუნას. მსაჯმა თავში შემოიკრა ხელი. დაფაცურდა ყველა, მაგრამ რაღას გააწყობდნენ, წყალმა უცებ შეკრა პირი და, ასეთი ჯაფით მოპოვებული მედალი ფსკერისაკენ წავიდა. წყალი იმ ადგილას ღრმა იყო და მედლის პოვნის იმედი ყველამ დაკარგა.

მე იმ არეულობის დროსვე შევამჩნიე, რომ ხუთიოდე ბავშვი მოხუც მსაჯს გარს შემოერტყა და რაღაცას ეხვეწებოდა. მსაჯი მათ არ უსმენდა, ისინი კი ჯიუტად დასდევდნენ უკან.

შეჯიბრი რომ დამთავრდა და ხალხი გასასვლელისაკენ დაიძრა, ბავშვები კვლავ გაჩნდნენ ნაპირთან, მაგრამ ახლა ხუთი კი არა, ბარე ოცამდე ათი-ცამეტი წლის გოგო-ბიჭი დავთვალე. მათმა საქციელმა დამაინტერესა, ხალხს გამოვეყავი, შორიახლო დავდექი და თვალთვალი დავიწყე. ჯერ ერთი, მერე მეორე, მერე მესამე, და ასე, ათამდე ბავშვი, სწორედ იმ ადგილას, სადაც საბჭოთა სპორტსმენს მედალი დაეკარგა, თავით გადაეშვა წყალში და კარგა ხანს არ გამოჩენილან. ბოლოს ამოყვინთა ერთმა, სული მოითქვა, მოხდენილად შეთამაშდა წყალში და ისევ სიღრმეში ჩაინთქა. იგივე გაიმეორეს სხვებმაც. მივხვდი, ბავშვები ჩაძირულ მედალს ეძებდნენ. ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. დიდხანს ვუყურებდი მათ ყვინთვასა და ცურვას, ვუსმენდი მათ მხიარულ ყივილ-ხივილს. უნდა გამოვტყდე, რომ ასეთი კარგი მოცურავე, მყვინთავი და წყალს შეთამამებული ბავშვები მე იშვიათად შემხვედრია. ახლა კი მივხვდა თუ რატომ მიაღწიეს ავსტრალიელმა მოცურავეებმა დიდ წარმატებას ოლიმპიურ თამაშებზე, და სრულიად აღარ მიკვირდა მათ მიერ მოპოვებული ოცი მედალი; ქვეყანაში, სადაც ასეთ ადრეულ ასაკში ეჩვევიან წყალს, სწავლობენ ცურვას, — რეკორდსმენებს და ჩემპიონებს რა გამოლევს.

იმ საღამოს, როდესაც მთელი საბჭოთა დელეგაცია ვახშმად იჯდა, სასადილოში რამდენიმე ბავშვი შემოვიდა. ისინი კარებთან შეჩერდნენ და ერთმანეთის ზურგსუკან ცდილობდნენ დამალვას.

—„ამ ბავშვებს ვერსად დაემალები“, — ჩაიცინა ვლადიმერ კუცმა, ვახშამი მიატოვა, გულის ჯიბიდან კალამი ამოიღო და ბავშვებისაკენ გაემართა. ყველანი დარწმუნებული

ვიყავით, რომ ავტოგრაფების შემგროვებელ აბეზარებთან გვქონდა საქმე—ისინი ხომ პირდაპირ ფეხდაფეხ დასდევდნენ კუცს, რადგან ბევრ ავსტრალიელს ოცნებად ჰქონდა, ოლიმპიური ჩემპიონის ხელწერა დარჩენოდა სამახსოვროდ.

მაგრამ, წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა იმ უზარმაზარ დარბაზში, როდესაც ერთ-ერთმა ბავშვმა უბიდან გულმოდგინედ შეფუთული რაღაც ამოიღო, გახსნა, და ორასმა საბჭოთა სპორტსმენმა ელექტროშუქზე მოციმციმე მედალი დავინახეთ. დიახ, ეს „ჩაძირული მედალი“ იყო, მედალი, რომელიც მთელი ორი დღის ძებნის შემდეგ პატარების ხელებს მაინც ვერ გაექცა. წამოვცვივდით ადგილებიდან, შემოვეხვიეთ ბავშვებს, ხელს ვართმევდით, მადლობას ვუხდიდით. ისინი კი, ასეთი თბილი მიღებით გათამამებულნი, ლამის აცეკვდნენ.

ბავშვები დიდი პატივისცემით გავისტუმრეთ.

ეს ფაქტი საბჭოთა ადამიანებისადმი ავსტრალიელი ხალხის დიდი სიმპათიისა და სიყვარულის დამადასტურებელი იყო, რომელიც შემდეგ კიდევ არაერთხელ გამოვლინდა.

ეს ამბავი იმიტომ მოგიყევით, რომ ცურვის შესწავლა გირჩიოთ, ჩემო პატარა მეგობრებო. ამის საშუალება ზამთრობითაც აქვს. აბა, სცადეთ, მიაკითხეთ „დინამოს“ სტადიონის დახურულ საცურაო აუზს. მსურველთათვის იქ კარები მუდამ ღიაა.

შეეჩვიეთ წყალს, შეისწავლეთ ცურვა, იგი ტანის ჰარმონიული განვითარების, სილაღისა და სიჯანსაღის უებარი საშუალებაა.

# ჯოკონდა

ხუთი საუკუნეა, რაც კაცობრიობა განცვიფრებაში მოჰყავს ხელოვნების ერთ-ერთ საუკეთესო ქმნილებას, ლეონარდო და ვინჩის ნაწარმოებ «ჯოკონდას», რომელიც დიდმა ხელოვანმა ჯერ კიდევ 1503 წელს შექმნა.

ლეონარდო და ვინჩის თანამედროვე ბიოგრაფი, თვითონაც ნიჭიერი მხატვარი ვაზარი მოგვითხრობს:

«ფრანჩესკო დელ ჯოკონდამ განიზრახა დაეხატვინებინა თავისი ლამაზი მეუღლის მონა-ლიზას სურათი, და ამისათვის ლეონარდო და ვინჩის მიმართა. ლეონარდომ ოთხ წელიწადს იმუშავა «ჯოკონდას» სურათზე და იგი თურმე კიდევ დაუმთავრებელ ნამუშევრად მიაჩნდა.

... მის თვალებს საოცარი ნაპერწკალი და წყლიანობა აქვს, რასაც ჩვენ მხოლოდ ცოცხალ არსებაში ვხედავთ ხოლმე; თვალების გარშემო კი ძარღვების მეწამული და მოლურჯო ნაკვთები მოჩანს; ძნელია წარმოვიდგინოთ ამაზე კარგად დახატული წამწამი. ცხვირი მოვარდისფერ ოა, სათუთი გრეხილებით. ჩანს ცოცხალი სახე თავისი ღაწვებით და ალისფერი ტუჩებით... ვინც კარგად დააკვირდება, დაინახავს, რომ ჯოკონდას ყელზე ცოცხალი ძარღვები ფეთქავენ».

ვაზარი შემდეგ გადმოგვცემს, რომ ლეონარდო და ვინჩი «ჯოკონდაზე» მუშაობის დროს მეტად საინტერესო ხერხებს მიმართავდაო. «ლეონარდოს,—წერს იგი,—ამ სურათის ხატვის დროს მოწვეული ჰყავდა მუსიკოსები, მომღერლები, ხუმარა-მასხარები, რომლებიც ჯოკონდას ამხიარულებდნენ, რათა მას სახიდან მოსცილებოდა მოწყენილობის იერი. ამიტომაა, რომ სურათზე ჯოკონდას ისეთი საოცარი ღიმილია აღბეჭდილი, რომლის ახსნაზედაც ბევრი იმტვრევს თავს».

მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან მრავალი მნახველი მიდის პარიზის ლუვრის მუზეუმში, სადაც ხელოვნების ეს სწორუპოვარი ნაწარმოებია დაცული. მისი ნახვა ადამიანზე განსაცვიფრებელ შთაბეჭდილებას ახდენს და მნახველები «ჯოკონდას» წინ მთელი საათობით დგანან.

«ჩავედი პარიზში და მაშინვე ლუვრისაკენ გავწიე,—წერდა ერთი ცნობილი ბიოგრაფი.—შევედი დარბაზში და უცბად შევდექი... უსიტყვო მღელვარებამ შემიპყრო. ჩემს წინაშე იყო სურათი ქალისა, რომელიც მომჩერებოდა თავისი ფართო, შავი თვალებით. ეს იყო «ჯოკონდა». მე იძულებული გავხდი განცვიფრებისაგან რამდენიმე ნაბიჯით უკან დამეხია. შუაზე გაყოფილი შავი თმა მხრებზე მწყობრად ჰქონდა დაფენილი. ალისფერი ტუჩები ჯადოსნურად იღიმებოდა. მწვანესა და წმინდა ნაოჭიან კაბაში მოჩანდა გულმკერდი, რომელიც თითქოს ფეთქავდა, მოძრაობდა. ცალ მხარეს დახრილ თავს ბროლის კისერი აშუქებდა... მივუახლოვდი სურათს, ვუცქერდი მის სახეს, ხელებს, ყოველ წვრილმანს. საიდუმლოებით აღსავსე ღიმილმა მოშაჯადოვა, დამიფანტა აზროვნება. ვხედავდი ღიმილს,—საიდუმლოს, ულმობელს, დამცინავს, გამოუცნობს. თუმცა ბევრი ვეცადე, მაგრამ სულიერ სიმშვიდეს ვეღარ დავუბრუნდი. აი, როდის ვიგრძენი ჭეშმარიტი ხელოვნების ძალა და ძლიერება».

«ჯოკონდას» სილამაზე და მომხიბვლელობა ერთ დროს მისი უბედურების მიზეზი გახდა. 1911 წლის 9 აგვისტოს «ჯოკონდა» ერთბაშად გაჰქრა ლუვრის მუზეუმიდან. მთელი საფრანგეთი შეიძრა ამ სამწუხარო ამბის გამო. ფრანგი ხალხის მღელვარება მთელ მსოფლიოს გადაედო. იმ დროის მსოფლიოში არ ყოფილა არც ერთი გაზეთი, რომელსაც თავის ფურცელზე არ დაებეჭდოს ცნობა «ჯოკონდას» დაკარგვის თაობაზე. პარიზის გაზეთები მსოფლიოს აუწყებდნენ: «1911 წლის 9 აგვისტოს პარიზის ლუვრის მუზეუმიდან დაიკარგა ლეონარდო და ვინჩის «ჯოკონდა». ხელოვნების მინისტრმა ერთი მილიონი ფრანკი დანიშნა ჯილდოდ იმისთვის, ვინც აღმოაჩენს მას».

ორი წლის განმავლობაში ამაოდ ელოდა ლუვრის მუზეუმის კედელზე ობლად დარჩენილი ჩარჩო თავის დამამშვენებელს.

1913 წელს საფრანგეთში იტალიიდან მოვიდა ცნობა «ჯოკონდას» პოვნის შესახებ. ამ ცნობამ ყველას დიდი სიხარული მოჰგვარა.

გამოირკვა, რომ «ჯოკონდას» სურათი უპოვიათ ფლორენციაში, ვინმე ბეტრიჯიო ვინჩენცოსთან, რომელიც მის გაყიდვას ლამობდა. როგორც ჩანდა, მას მოეპარა ეს დიდებული ნაწარმოები ლუვრის მუზეუმიდან.

# ბავშვი ეკითხება

— ბიჭო, გააჩერე ხელები!— აწრიალდა მზვეინარი.

— თორემ რას მიზამ?.. ეგ შენი გაბურძგნული კაბაწყები წინ გადაიკარე და მაშინ გავჩერდები.

გოგონამ გრძელი ნაწწყვეტები მართლაც წინ გადაიწყო, იქნებ გაჩერდეს, და დაფიდან სანინო დაკალების გადმოწერა განაკრძო. უკანა მერხზე მჯდომმა ელეარდ ქურდაშვილმა კი ვერც ახლა მოისვენა, გასრიალდა სკამის ნაპირზე, მარცხენა ხელი მერხის ქვეშ შეაპარა და წინა მერხის თარიდან რაღაც შეხვეული გადმოიმარა. ჯერ სრულიად არ გამჩარულიყო, რომ შეფუთული ხელიდან გაუვარდა... მოულოდნელმა ხმაურმა კლასში მყოფთა ყურადღება მიიქცია. შეშინებული ბიჭი მზვეინარის ზურგს ამოეფარა—ახლა კი სასჯელი აღარ ამცდებამ, და შიშისაგან სულ დაპატარავდა. მზვეინარი სწრაფად შემოტრიალდა უკანა მერხზე მჯდომ მოსწავლეს ამხანაგს, აჩეჩილ ქოჩორში სწვდა—ეს რა ჰქენიო, და შავი, მეტყველი თვალები ცრემლით ავსებს. მასწავლებელი დინჯი ნაბიჯით მიეახლოდა მერხს. რომლის ქვეშ, იატაკზე, მოწრეთალო სითხეში ნამსხვრევები ცურავდა. უსიტყვოდ დახედა თავდახრილ დამნაშავეს.

— შენ ისევ განაგრძობ წესჩიგის დარღვევას, ყოველდღე დაგვიანებასაც არ გვაკმარებ? — გაუწყრა მასწავლებელი. —ვისი იყო ბოთლი და რა იდგა შიგ? — იკოხა წყრომის კილოთი.

ყველანი გაჩუმდნენ. მზვეინარი მოკრძალებით წამოდგა. თვალები დამნაშავისაკენ ქვეშ-ქვეშ გააპარა და ჩუმად ჩაილაპარაკა:

— პატივცემული მასწავლებელო, ბოთლი ჩემი იყო და შიგ.—გოგონამ დაირცხვინა, ვეღარ დასახრულა.

— შემდეგ, შემდეგ? — კვლავ ჩაკითხა ვალია მასწავლებელი.

— დღეს სკოლიდან პირდაპირ ფერმაში უნდა ავსულიყავი, ჩემი «ნაცარა» ხმო ავადა მყავს მუცლის ტკივილით და, კისელი უნდა დამედუღებინა. მაპატიეთ, მასწავლებელო, რომ კისელი აქ მოვიტანე... ვჩქარობდი... და ამან კი აი, რა ჩაიდინა.—მზვეინარი თავაუღებლივ დაპყურებდა დაღვრილ კისელს და ჩუმად სლუკუნებდა.

ზარიც დაირეკა. კაკეთილები დამთავრდა. მასწავლებელმა ელეარდი კლასში დაიტოვა. მზვეინარმა კი დერეფანში სწრაფად გაირბინა და სახლისაკენ მოკურცხლა, რომ ხელმეორედ მოედუღებინა «წამალი» და დროზე აეტანა ავადმყოფისათვის.

ბინდი შემოპარა სოფელს. გადაღმა კი, პატარა მთის ფერდობზე, ბოსელში ნიშა და ნიკორა ზმოეფდნენ. მოწველის დრო იყო და ხბორების ბღავილი იქაურობას ეკლებდა. ხბორების მომვლელი სონია ყურაშვილი წითელელასხვეევანების მოლოდინში ბოსლის კარებთან იდგა. აი, კიდევაც გამოჩნდნენ. გოგონებმა ყიავილით ამოირბინეს აღმართი და ბოსლში შეცვივდნენ. ყველამ თავისას მიაშურა. მზვეინარს უფრო დიდი ბოთლი წამოეღო კისელი. მან თავისი «ნაცარა» ხბო მონახა, თბილი წყლით ჩამობანა ფეხები, კისელი დაალევინა და მოეფარა, ფაფუკ კისერზე ხელი გადაუსვა—ნუ გეშინია, ჩემო კარგო, მალე მოგარჩენო—და ბრიალა თვალი ფრთხილად ამოუწმინდა. ხბომ მიეფერება იგრძნო, კისერი წაიგრეხა და თავი კალთაში ჩაუდო, თითქოს შეეხვეწა, ჩქარა მიშველეო.

ნათელა გოგუაშვილმა ლიფთინის ტარსა და მაწოვრარას ხელი წამოავლო და თავის «ბატარებისაკენ» გაეგზავნა. ძაბრი გაჩეთენილ ხის ჩარჩოში ჩადგა, ზედ რეზინის მაწოვარა წამოაცვა და ბოთლით სავსე რძე ჩაასხა. ეკარ ყველაზე პატარა, მთის ფერელი «ბაჩუნა» მოკუნტრეშდა, ბარელი შეზუფდა და რძით სავსე მაწოვარას ენა მოსკდა. გეშინიოდ შეეძყო თბილ რძეს.

ბინა წინათ პიონერულმა რაზმმა ტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში ქმნილი კომუნისტური ზრომის ბრიგადაში მოაწყო შეკრება—«ეს ზრომოთ კომუნისტურად». ამის შემდეგ აღარ გაგიკვირდებათ. როდესაც დაბა ბოლნისის სოფლის-საბა ორბელიანის სახელობის სკოლის დერეფანში, შესასვლელთან, კომუნისტური ზრომის ბრიგადის წევრების სურათებს ნახავთ.

სამი წელია მეზუთე და მეექვსეკლასელი მოსწავლეები კოლმეურნეობას ჩვილი ხბოების გამოზრდაში ეხმარებიან. და აკი ყოველდღე, გაკვეთილების შემდეგ, შეუფუვებიან ხოლმე აღმართს და ასუფთავებენ ხბოების სადგომებს, აშმეკენ, ეხმარებიან მოწველის დროს. აი, ამიტომ იცნობს მთელი სოფელი ხალისიან გოგონებს:

კარგია, როცა შენი გამოზრდილი ხბო სხვებისას ჯობს. ნელი ბენეძიხა და ნენე გიგაშვილის ხანგრძლივ სწორედ ეხა.

მზვეინარ ჭუტაძეს ბიჭოლას ხელი გადადუნეა და უთხრა: ნუ გეშინია, ჩემო კარგო, მალე მოგარჩენო.

მზვეინარ ჭუტაძეს, ნათელა გოგუაშვილს, ლეილა ყაველაშვილს, ნენე გიგაშვილს, ლარისა ხაჭიპურაძეს და ნელი ბენეძეს.

ბოლნისელ პიონერებს განა მარტო აქ ნახავთ? ყველგან გაჩნდებიან, სადაც მათი გამრეკა ხელია საჭირო. ისინი ყოველდღიურად ეხმარებიან კოლმეურნეობას თამბაქოს შეგროვებაში. მარტო წელს 16 000 ზონარ-მტკრი თამბაქო შეტეხეს და ანამესს. გზები გაამწვანეს დეკორატიული მცენარეებით, გაამშენს თეთრისა და ეკალის სანერგე. აქ კი თავი გამოიჩინეს მეხუთეკლასელებმა: თინა შეყლარაძემ, ემილ კოპალიანმა, მარინე შალვაძემ, თინა ბაკურაძემ, ოლეგ გიორგელაძემ.

გაკეთილების დამთავრების შემდეგ ზრომამომყვარე ბოლნისელი პიონერები სკოლის ეზოს დახუფთავებას შეუდგნენ.

პიონერები კარგად ყველან სკოლის საკდელ ნაკეკვის. წელს იმდენი ბოსტნეული მოიყვანეს, რომ მარტო კომბინატისა და ამბიდორის საფასურით ტელევიზორი შეიძინეს.

პიონერებმა ღირსეულად დაიმსახურეს კომკავშრის რაკიმოისაგან «ქვეს სიდელი». მათ გასულ წელს 5 ტონა ჯარი შეგროვეს, დღისათვის კი უკვე 2 ტონაა შეგროვილი. ყოველდღე სკოლისაკენ მიმავალი რუსუდან ყურაშვილი, ნანული ჩიქოვანი, ეკაკა აქციფაშვილი, რუზენ მაკიევი სკოლის ეზოში ჯართის ქდარუნიან შემოდიან.

ბოლნისელი პიონერები ახალ-ახალი საქმიანობით იჩენენ თავს.

ეს კი სულ ახლახან იყო:

ზარი დაირეკა. გაკეთილები დამთავრდა. ზრომამომყვარე ბავშვები სკოლის ეზოში ამფუფფენენ. ოთარ აბულაძეს, ნუგზარ აქციფაშვილს და გურამ ბებუტაშვილს ხელეურმით მდინარე მამაკვრის რიყიდან ქვა ამოაქვთ; გოგონები კი—ლენა ქუქჩიშვილი, ნათელა პოილარაშვილი, ეთერ ალაკარდაშვილი მოკლტტარიანი ბარებით მიწას ჩიჩქნიან; ხოლო ბეტრე გიბაძე, თინა ბაკურაძე და მანანა აბულაძე ქვაფენილს აწყობენ. ასე განწყობილებულს სამუშაომ კარგი ნაყოფი გამოიღო და რამდენიმე დღის შემდეგ სკოლის დერეფნიდან სკოლის გრძელი ეზოს ბოლომდე საკმაოდ ფართო ქვაფენილი დაიგება.

ქ. ხახუბაშვილი

# ჩანთა




**გოდერძი ჯეიმვილი**

ნახ. **გ. გელოვანისა**


## მ ო თ ხ რ ო ბ ა

ის ორი წლით უფროსი იყო ჩემზე.

მისთვის არასოდეს უკადრისი არაფერი მიკადრებია. არც მისგან მახსოვდა ცუდი რამე. ჩვენს პირდაპირ ცხოვრობდა, მაგრამ მე ჩემთვის ვიყავი, ის თავისთვის. აქებდნენ, კაი ბიჭიაო. მეც მომწონდა, მიხაროდა მასთან ყოფნა, მის გვერდით დადგომა. მაგრამ ეს იყო პირველად, მერე კი...

ნოდარი კალათბურთს თამაშობდა. ხელებგაშლილი, ქვაზე დარტყმული ბურთივით ხან მაღლა ხტოდა, ხან აქეთ, ხან იქით...

მერე გუნდის თავად აირჩიეს.

გულცივად მეც არ ვუცქერდი კალათბურთს. მქონდა ბურთი, კალათის საქმეც მოვაგვარე: ბაბუას მსხვილი მავთული გამოვართვი, ისევე მოვამრგვალე, როგორც სკოლის მოედანზეა, ძველი სათევზაო ბადე ამოვკერე; შემდეგ, ჭიშკართან რომ ალვის ხეა, შევსხეპე და ბადე იქ ჩამოვკიდე... გამოვდიოდი დილას, საღამოს, დავრბოდი, ტოტებში ვძვრებოდი, ხურმისა და ვაშლის ახალ ნარგავებს, თითქოს ისინიც მოთამაშეები იყვნენ, გვერდს ვუვლიდი, ბურთს ვისროდი.

ნოდარივით გაწაფული არ ვიყავი, მაგრამ, არც ჭიჭიკოსავით უშნოდ გშლიდი ხელებს. ვთამაშობდი. ვთამაშობდი ისე რა...

ეს კი იმას ჰგავდა, ჩემთვის ვმღერი და მოგწონს თუ არაო! გუნდში არავინ მღებულობდა. ვერც მე ვბედავდი ხმის ამოღებას.

ჭიჭიკო სულ სხვანაირია...

მივიდა და განაცხადა: გამსინჯეთო.

შეამოწმეს.

გასინჯეს.

უთხრეს: კიდევ ივარჯიშე და ვნახოთო.

ივარჯიშა, იფაფხურა და აგერ, თამაშობს!

მე კი, მე ძალით თუ მიმიყვანდნენ, თორემ როგორ გავბედავდი ფეხის მიდგმას!

ნოდარის მწარე ენისაც მეშინოდა, ვაი თუ მასხარად ავეგდე—გალეული ხარო. ვინ იცის, ჩემთვის შეიძლება სხვა ყბადასაღები წუნიც გამოეძებნათ და ამის შიში მქონდა. ზოგი კი ისეთია, თუ თავიდან გული გაუტეხეს, მორჩა, იმ საქმეს, რაც აქამდე გულზე ეხატებოდა, მთლად თუ არ შეიძულა, ყოველ შემთხვევაში, ალმაცერად დაუწყებს ცქერას. მეც ასეთად ვთვლიდი ჩემს თავს, გადაწურულ იმედს გადაუწურავი სჯობიაო, და ენა დავიბი.

დავიცადე.

შევჩერდი.

მხოლოდ, ხელი არ ჩამიქნევია. ახლა უფრო მონდომებით ვეთამაშებოდი ეზოში ხეებს, დავრბოდი, ვძვრებოდი, ხანდახან მეზობლის ბიჭებიც მოიყრიდნენ თავს. ყველაფერი კარგად და სასიამოვნოდ მიდიოდა, რომ იმ კვირა დღეს გარეთ არ გამოვსულიყავი!

გაგონილი მქონდა, კალათში თუ ბურთს შორიდან ჩააგდებ, ყველაფერს სჯობიაო! ჰოდა, ოცი ნაბიჯი გადმოვთვალე. ვესროლე. პირველად ბურთი ხეს მოხვდა. მეორეჯერ კალათს დაეცა, ახტა და ჩასრიალდა. მესამეჯერაც ჩასრიალდა. არც მეოთხეჯერ შემშლია ხელი...

— ბიჭოს! — მომესმა გაკვირვებული ხმა.

ჭიშკარზე ჩამოკიდებული ნოდარი თვალებდაჭყეტილი მიცქერდა. არ ველოდი მის გამოჩენას და შევკრთი.

კიდეც შემრცხვა, კიდეც გამეხარდა.

მორიდებულად შემოვიპატიჟე ეზოში. მეჩქარება, ძროხა უნდა გადავდენო რკინიგზის გადაღმა, მერე ვარჯიშზეც უნდა გავიქცეო, — თქვა და ხელზე დახვეული თოკი დამანახვა.

«უჰ-მეთქი!» — შევწუხდი.

მან ალვის ხეზე ჩამოკიდებულ კალათს ახედა, ჩაიცინა და მითხრა:

— კარგია, რომ ვარჯიშობ.

— ჰე, რა ვიცი, — დავირცხვინე, იღლიაში ამოჩრილი ბურთი უნებურად მიწაზე ავახტუნე...

— შენ, გეტყობა, კარგად თამაშობ...—თავი ააკანტურა ნოდარმა. გავთამამდი და გულუბრყვილოდ გუნდში თამაში ვინატრე.

— რატომაც არა, შეიძლება...—და ისე იმედიანად შემომხედა, ჩემი თავი გუნდის წევრად ჩავთვალე.

—ვარჯიშზე მაგვიანდება! რა ვუყო ახლა ამ ძროხას! — მოიღუშა ნოდარი, მერე ალერსიანად გამიღიმა და მითხრა: — მოდი, შენ გადადენე!..

«რა დიდი საქმეა-მეთქი» — ვუთხარი და თოკი ჩამოვართვი.

მიხაროდა, აბა, არ მიხაროდა? აქამდე თუ ჩემს სურვილს თავსაც ვერ ვუმხელდი, ახლა ნოდარს მოვწონდი და ეს ყველაფერი იყო.

ამის შემდეგ ის უფრო შემიყვარდა, მასავით კეთილი ბიჭი და კარგი მოთამაშე თუ სადმე იქნებოდა, არ მეგ-

ონა. ვთქვათ, ბიჭებში კამათი ჩამოვარდნილიყო და ვინმეს იმისი გამტყუნება დაეპირებინა, იქ თუ იყო, მხარში ვედექი, თუ არადა ვამართლებდი, ვაქებდი...

ერთხელ, გაკვეთილები რომ დამთავრდა, გამოვედი და ვხედავ: ის თავის ბიჭებთან დგას, რაღაცას კამათობენ. ეტყობოდათ, სადღაც წასვლას აპირებდნენ, ნოდარს ქამარში ჩაფრენოდნენ.

ნოდარი წიწმატობდა...

— გამიშვით, ჩანთას შინ მივარბენინებ და მოვალ!

— ეე, რა კაცი ხარ!—ყვიროდნენ, არ თანხმდებოდნენ ბიჭები.

ნოდარი მაინც აქეთ იწევდა, ისინი—იქით. დამაინტერესა, რა მოხდა-მეთქი და ჩამოვირბინე.

— ოო, სანდრო, როგორა ხარ?.. იცით, რა ბიჭია! შეჯიბრზე ერთად ვითამაშებთ!—მან რაღაცნაირად ჩაიღიმა, ჩანთა შემომაჩეჩა და ამხანაგებს მედიდურად გადახედა, რაღაც ჩაულაპარაკა.

...ის ხან ვარჯიშზე რჩებოდა, ხანაც სხვა საქმე ჰქონდა. მისი ჩანთა კი მე მიმქონდა და დათქმულ ადგილას, ჭიშკრის მარჯვნივ, თხილის ძირში ვტოვებდი. თვითონ გამაფრთხილა: დედაჩემმა ან ბაბუაჩემმა არ დაგინახოსო. მეც, მაშინ, მართალი გითხრათ, სრულებითაც ვერ ვგრძნობდი, ვერ წარმოვიდგენდი ამ საიდუმლოების თავსა და ბოლოს...

იმ დღეს კი ასე მოხდა. სკოლის ეზოდან, რომ გამოვდიოდით, ნოდარმა ჩანთა ისევ გადმომცა. მხოლოდ არსად არ დაუპირებია წასვლა, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი გამიძღვა სახლისაკენ.

შეჯიბრი ახლოვდებოდა. ნოდარმა ჩანთა ბევრჯერ მესროლა, ბურთი კი არა. რატომ არაფერს ამბობს?! ნუთუ დაავიწყდა, თორემ ხვალ ბურთი უნდა დაატრიალონ და მე არც აქეთა ვარ, არც იქით. წინა საღამოს სახლთან ვუყარაულე. მეორე დღეს, როგორც იქნა, გასახდელში დავიმარტოხელე.

— ვინ და ვინ თამაშობს დღეს? — ხმის კანკალით შევეკითხე და ვიგრძენი საბედისწერო შიშმა შემიპყრო.

— ზურა, გურამი, შალვა... სხვათაშორის ჩაილაპარაკა ნოდარმა, ბურთს ხელი დაავლო, მაღლა შეისროლა, თვითონაც შეითამაშა.

—კიდევ, კიდევ?—დაფეთებულმა ხან აქედან მოვუარე ნოდარს ხან იქიდან: მეოთხედ არა, მაგრამ მეხუთედ მაინც ჩემს სახელს ველოდი,—ჰოდა, ჭიჭიკო? მეოთხედ ჭიჭიკო ახსენა და ძაფს ჩამოვეკიდე, ეს ძაფიც გაწყდა და ისე მომეჩვენა, თითქოს სადღაც, ქვემოთ ჩავენარცხე. იქედან ამოვძახე: მე რომ გუნდში არ ვარ?..

იგი უსირცხვილოდ ახარხარდა.

მერე მიბრძანა:

— წაიღე!.. ვითომ არაფერი მომხდარიყოს, ისევ «მაჩუქა» სახლამდე ჩანთა.

გავშტერდი! შემდეგ?.. შემდეგ, სხვა რომ ვერაფერი მოვახერხე, თუმცა ისინი რა შუაში იყვნენ,—ჩანთა დასაგლეჯად, წიგნები დასაფლეთად გავიმეტე. საკეტს ვეცი, კბილებით ავაგლიჯე, რაც რამ ჩანთაში იყო, იატაკზე დავუშვი...

ამასობაში ამხანაგები შემოცვივდნენ.

ერთმა შემომძახა—გაგიქდიო? თუმა ხელები გამიკავა, დანარჩენებმა წიგნები, რვეულები მიკრიფ-მოკრიფეს, ჩანთაში ჩაალაგეს და დერეფანში გამოვარდნილს მომაჩეჩეს.

მერე აღარ მახსოვს, ჩვენსკენ წამოსული მასწავლებლის შემეშინდა, თუ სხვა რამე იყო, ჩანთა ჩანთას მოვაფარე და კიბეზე დავეშვი...

...შინ მოსული ვერ ვისვენებდი. რაღაცა უცნაურად მაწუხებდა, თითქოს რაღაცას ველოდი. ვერც წავიკითხე, ვერც დავწერე. უშნოდ აბორიალებული ნავთქურას დავეჯახე, ქვაბი გადმოვაყირავე, ბებიაჩემი გავაბრაზე: უსადილოდ ბრძანდებოდეო, ვიქნები-მეთქი,—თითქმის შევუბღვირე...

ცოტა ხნის შემდეგ ამხანაგებმა «მომახარეს»: ნოდარს გუნდის უფროსობაზე ხელი ააღებინეს, შავი დღე დაუყენესო.

ნოდარი შებინდებისას გამოჩნდა. ღობეს მოფარებულმა სახლის კარს გახედა.

ჩანთა ავიღე და ეზოში ჩამოვედი.

ნოდარმა ჩანთა ისევ მე გადმომცა და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი გამიძღვა სახლისაკენ.

ღობის სარებშუა თავი გავყავი და უცბად, ცხვირისცემინებამ მომისწრო.

ნოდარი დაფრთხა. დედამისი ან ბაბუამისი თუ ვეგონე, შეშინებულმა ზევით მოკურცხლა.

მალე მობრუნდა.

ისევ მაღალი ჩანდა, მხოლოდ უფრო სხვანაირი მეჩვენა.

თვალები დავხუჭე: რატომღაც მომინდა იგი ისეთივე წარმომედგინა, წინათ რომ იყო, და მორიდებულად გავძახე:

— აჰა, ნოდარ!—ჩანთიანი ხელი ღობეში გავაძვრინე.

— შენ იყავი?—მომესმა მორცხვად ნათქვამი.

თავი დავუქნიე, მერე წავჩურჩულე: **ბეფიცები, არც დედაშენი მინახავს, არც ბაბუაშენი-მეთქი.**

**გაეღიმა.**

**ჩანთა ფრთხილად გამომართვა და შებრუნებულმა ღობეს გადააბიჯა.**

**მე კი ვიდექი და დამნაშავესავით გავყურებდი, მხოლოდ არ ვიცოდი რა დავაშავე.**

**თოვდა. მშვიდად მოდიოდნენ ფიფქები...**

# ფაიფურის საიდუმლოება

ჩინელები ფაიფურის დამზადების ხელოვნებას დიდი ხნის მანძილზე საიდუმლოდ ინახავდნენ და, რომ ბედნიერი შემთხვევა არა, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს იქნებოდა დაფარული ეს საქმე.

მე-17 საუკუნეში ევროპაში გაჩნდნენ ეგრეთწოდებული ალქიმიკოსები, რომლებიც თეორიულად ამტკიცებდნენ, რომ შესაძლებელია ხელოვნურად დამზადდეს ოქრო. მაგრამ პრაქტიკულად ამას ვერ აღწევდნენ. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მიხვდნენ თავიანთ უძლურებას და გამოსავალი თაღლითობაში ჰპოვეს. ასეთი ალქიმიკოსები მაღალ ტემპერატურაზე ხარშავდნენ ჩვეულებრივ ნაცარს; ამ დროს ისინი თავიანთ ლაბორატორიებში ორთქლის, კვამლისა და მტვრის ბუღს დააყენებდნენ, დამსწრეებისაგან მალულად, მოთუხთუხე ქვაბში ოქროს ნაჭერს ჩააგდებდნენ და შემდეგ კი, უკვე ყველას დასანახად, ამ, ვითომდა ნაცრისაგან მიღებულ ოქროს, ზეიმით ამოიღებდნენ ქვაბიდან.

ერთ-ერთი ასეთი ალქიმიკოსი იოჰან ბლოდგერი იყო. სხვებისაგან განსხვავებით, მას სჯეროდა, რომ ოქროს მიღება შეიძლება ნაცრისაგან, მაგრამ ხარშვით კი არა, არამედ მისი მაღალ ტემპერატურაზე გახურებით. ამისათვის იგი ეძებდა ისეთ ცეცხლგამძლე თიხას, რომლისაგან დამზადებული ჭურჭელი მაღალ ტემპერატურას გაუძლებდა და მასში ნაცარს გაახურებდა მანამ, ვიდრე ოქროს არ მიიღებდა. დღენიადაგ ძიებაში იყო ბლოდგერი, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ აღწევდა.

იოჰანს ერთი სწავლული მეგობარი ჰყავდა, რომელიც ხშირად ეკამათებოდა და უმტკიცებდა ბლოდგერს, რომ იგი ვერავითარ ოქროს ვერ მიიღებს ნაცრისაგან და, რადგან ასეთი გატაცებით ეძებს და იკვლევს თიხებს, უმჯობესია იფიქროს და იმუშაოს ჩინური ფაიფურის საიდუმლოს გახსნაზე, თუნდაც იმიტომ, რომ ფაიფური იმ ხანად ძალიან ძვირი იყო, ოქროს ფასად იყიდებოდა. მაგრამ იოჰანი მეგობრის რჩევას ყურს არ უგდებდა.

ერთ დღეს ჰერცოგმა, რომლის კარზედაც ბლოდგერი მუშაობდა, მორიგი მოხსენებისათვის გამოიძახა ალქიმიკოსი. იოჰანი აუდიენციისათვის ემზადებოდა; სადალაქოში შეევიდა. დალაქმა წვერი მოჰარსა, თავზე თეთრი პარიკი მოარგო და პუდრის დაყრას შეუდგა. ჩაფიქრებული იოჰანი სარკეში იხედებოდა. აი, მას ბეჭებზე პუდრი ჩამოეპნა, მან შექანიკურად თითი ენის წვერზე დაისველა, პუდრს დააწო და მისი სრესა დაიწყო. დალაქმა ეს რომ შენიშნა, შიშისაგან იქვე გაქვავდა.

— თქვენო აღმატებულებავ, შეიბრალეთ ღარიბი დალაქი,—ძლივს წარმოთქვა აკანკალებული ხმით მან.— თუ თქვენ მას გასცემთ, წვრილშვილი შიმშილით დაეხოცება. ამ სიტყვებმა იოჰანი ფიქრებიდან გამოარკვია.

საქმე იმაში იყო, რომ უმაღლესი ხარისხის პუდრი ბრინჯის მარცვლისაგან მზადდება, იმ ხანად კი იგი ძვირად ფასობდა. ჩანდა, დალაქს არ შეეძლო მისი შეძენა და პუდრს რაღაც სხვა მასალისაგან ამზადებდა.

იოჰანი მოსაჩვენებლად გაბრაზდა, წარბი შეიკრა და დალაქს შეუწყრა: მაშ რისგან ამზადებ ამ პუდრსო. მთლად აცახცახებულმა დალაქმა ენის ბორძიკით უამბო, რომ ეს პუდრი იმ თეთრი თიხისაგან არის გაკეთებული, რომელიც ბლომად მოიპოვება საქსონიაში, მეისენის მახლობელ მთებშიო.

გახარებულმა იოჰან ბლოდგერმა მაშინვე მიატოვა სადალაქო, თიხა მოიტანა, გამოწვა და... ჰოი, საკვირველებავ! მან მიიღო ის, რასაც ჩინელები ასე დიდხანს საიდუმლოდ ინახავდნენ. იოჰანი ჰერცოგის რისხვას გადაურჩა. ფაიფურის საიდუმლოებას კი ფარდა აეხადა.

## ბერკეტიანი სასწორი

ბერკეტიანი სასწორი გამოსადეგია ქიმიის კაბინეტში პრაქტიკული მეცადინეობის დროს, ფოტო-ლაბორატორიებში ქიმიკალების ასაწონად.

სასწორი შედგება ხის საყრდენის, ძელაკის, სიმძიმიანი ბერკეტის, ლამბაქისა და შკალისაგან. ძელაკისა და საყრდენის ზომები მილიმეტრებში მოცემულია ნახაზზე. (სურ. 1).

ლამბაქი შეიძლება გამოიჭრას ფანერის ან ცელულოიდის ფირფიტებისაგან. შეიძლება აგრეთვე გამოყენებული იქნას ცელულოიდის ან პლასტმასის სამურაბე ლამბაქი. შკალა გამოჭერით ფანერისაგან და მასზე სახაზავი ფურცელი მიაწებეთ.




ბერკეტის დასამზადებლად საჭიროა 175 მილიმეტრი სიგრძის და 4 მილიმეტრი დიამეტრის მქონე ფოლადის მავთული. (სურ. 2). ბერკეტის ერთი ბოლოდან 65 მილიმეტრის დაშორებით საჭიროა მოიხაროს მავთული ვიდრე 120 გრადუსიან კუთხეს მიიღებდეთ. ამის შემდეგ, ბერკეტის მოკლე მხარეზე, სამკუთხა ქლიბით ამოქლიბეთ ორი ჭრილი, რომელთა სიღრმე 1,5—2 მილიმეტრი იქნება. ერთი ასეთი ჭრილი საჭიროა კაუჭის დასამაგრებლად, მეორე—საქანებელ ღერძზე ბერკეტის გამოსადებად.

ბერკეტის გრძელი მხარის ბოლო უნდა წამახვილდეს, იგი შკალაზე წონის რაოდენობას მიუთითებს. ბერკეტზე დამაგრებული სიმძიმე წაწვეტებული ადგილიდან 15 მილიმეტრის დაშორებით უნდა მოთავსდეს.

კარგი იქნება თუ სიმძიმე ტყვიისაგან ჩამოისხმება. ამისთვის კი საჭიროა გამოიჭრას 10 მილიმეტრი სიგანის მუყაო და მისგან ოცმილიმეტრიანი დიამეტრის რგოლი შეიკრას. შემდეგ ამ რგოლში. როგორც ნახაზზეა ნაჩვენები, უნდა გაიყაროს ბერკეტის წვეტიანი ბოლო ისე, რომ წაწვეტებული ბოლო 15 მილიმეტრზე იყოს გამოშვერილი. ამის შემდეგ რგოლს უნდა გაუკეთდეს ფსკერი. როცა ყოველივე ამას მორჩებით, აიღეთ ხმარებიდან გამოსული კოვზი, ან სხვა რაიმე ლითონის მცირე ზომის ჭურჭელი და მასში, ცეცხლზე გახურებით, გაადნეთ 25—30 გრამი ტყვია და უკვე გამზადებულ მუყაოს ყალიბში ჩაასხით. როცა გამდნარი ტყვია გაცივდება და გამაგრდება, მოაშორეთ მუყაოს ყალიბი და წმინდა ქლიბით შემოასუფთავეთ.

ვერტიკალური ძელაკის ზედა ბოლოზე მიაჭედეთ 20—25 მილიმეტრი სიგრძისა და 1 მილიმეტრი დიამეტრის მქონე ლურსმანი. ბერკეტის მოკლე მხარეზე მიამაგრეთ მავთულის კაუჭი და მასზე მაგარი ძაფებით გამოაბით ლამბაქი. ბერკეტი მზად არის. ახლა საჭიროა მისი ჩამოკიდება ლურსმანზე და შკალაზე დანაყოფების აღნიშვნა. ამისათვის კი საჭიროა სასწორი დაიდგას სწორ მაგიდაზე და როცა ბერკეტი ქანაობას შეწყვეტს, წაწვეტებული ბოლოს გასწვრივ დასწერთ ნოლს. შემდეგ სასწორის ლამბაქზე დადებთ ერთ კაპიკიანს (იგი ერთ გრამს იწონის). ისარი გარკვეულ მანძილზე გადაიხრება, დაელოდებით მის სრულ გაჩერებას და ისრის გასწვრივ პატარა ხაზს ჩამოუსვამთ. შემდეგ მიუმატებთ ლამბაქზე დადებულ კაპიკიანს კიდევ ერთს, ისრის გასწვრივ კვლავ აღნიშნავთ ხაზით, და ასე ბოლომდის შკალა დაანაწევრეთ 20 და უფრო მეტი დანაყოფებით.

დანაყოფების გაკეთების დროს შეიძლება გამოყენებულ იქნას 2, 3 და 5-კაპიკიანები: ისინი შესაბამისად 2, 3 და 5 გრამს იწონიან.

ის დანაყოფი, რომელიც 5 გრამს უდრის, აღნიშნეთ უფრო გრძელი ხაზით და დაწერეთ 5. ასე მოიქეცით შემდეგაც. ყოველი ხუთი გრამის შემდეგ დაწერეთ შესაბამისი ციფრი: 5, 10, 15, 20. როცა ყოველივე ამას მორჩებით, მოხსენით ბერკეტი, სასწორი დააწვინეთ და ფანქრით აღნიშნული დანაყოფები და ციფრები შავი ტუშით მოხაზეთ.




ასე მზადდება ბერკეტიანი სასწორი. იგი თქვენი სკოლის ქიმიის კაბინეტისათვის კარგი საჩუქარი იქნება.

„იზრუნე სკოლაზე. რგოლთან ერთად გააკეთე სკოლისათვის საჭირო ორი-სამი ნივთი (სასწავლო ხელსაწყოები, სათამაშოები. მორთულობანი...)"

ნორჩი პიონერის საფეხურებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძაღლი

**მარსელ ემე**

ნახ. **ნ. შალიკაშვილისა**

## ზღაპარი

დელფინამ და მარინეტმა შეასრულეს მშობლების დავალება და სახლში ნავაჭრით ბრუნდებოდნენ. მათ კალათაში სამი ნაჭერი საპონი, ერთი თავი შაქარი და ხბოს ხორცის ნაჭერი ელაგათ.

გზაზე, ერთ მოსახვევთან, აბურძგნული ძაღლი დაინახეს. ეტყობოდა, უგუნებოდ იყო. ძაღლი უეცრად გზისპირისაკენ გაიქცა და თავით ხეს მიეჯახა. პატარა გოგონები შიშმა შეიპყრო და შეჩერდნენ.

— არ შეშინდეთ,— უთხრა ძაღლმა.—მე ავი არა ვარ, უსინათლო გახლავართ.

— ოჰ, საცოდავო ძაღლო!—თქვეს პატარებმა.—ჩვენ ეგ არ ვიცოდით.

ძაღლი კუდის ქნევით მიუახლოვდა მათ და კალათა მეგობრულად დაყნოსა.

— აი, რა მომივიდა,—წამოიწყო ძაღლმა.—უპირველესად, ნება მომეცით, ერთი წუთით ჩამოვჯდე, ხომ ხედავთ, დაღლილი ვარ.

პატარებიც მის პირდაპირ, იქვე ფერდობზე ჩამოსხდნენ.

— ოჰ, რა კარგია დასვენება, — ამოიოხრა ძაღლმა. — აი, რას გეტყვით: ვიდრე დავბრმავდებოდი, ვემსახურებოდი ერთ ბრმა კაცს. ჯერ კიდევ გუშინ, ჩემი პატრონი დამყავდა გზებზე და რამდენი სარგებლობა მომქონდა მისთვის; ფერმას რომ ჩავუვლიდით, ვეტყოდი ხოლმე: „აი, ფერმაც". ფერმერები გამოუტანდნენ პურის ნაჭერს, მე გადმომიგდებდნენ ძვალს, და ორივეს—მე და ჩემს პატრონს—მათი ფარდულის კუთხეში გვეძინა.

მას შევუმსუბუქე ცხოვრება, მაგრამ იგი მაინც უკმაყოფილო იყო.

ერთხელ, როცა ჩემი პატრონი მეფერებოდა, მოულოდნელად მითხრა:

— ძაღლო, რა იქნება წაიღო ჩემი უსინათლობა და ჩემს ნაცვლად დაბრმავდე?

ამას კი არ მოველოდი, რაც გსურდეთ, ის იფიქრეთ ჩემზე, მაგრამ მე უარი ვუთხარი.

— ხედავ!—შეჰყვირეს პატარებმა, — რასაკვირველია, ასე უნდა გეპასუხნათ.

— მოითმინეთ! გუშინ იგი ასჯერ მეტად მომეფერა, ვიდრე გუშინწინ. და უარის თქმისა შემრცხვა. ასე რომ, დავთანხმდი. ეჰ! მან შემომფიცა, რომ ბედნიერი ვიქნებოდი. დავბრმავდი მის ნაცვლად. მან უსიტყვოდ დამტოვა, არც კი გამომემშვიდობა.

ძაღლმა ამოიოხრა, დაყნოსა კალათა და თან დაუმატა:—ძალიან მშია... ხბოს ხორცია თქვენს კალათაში, ხომ მართალია?

— დიახ, ხბოს ხორცია,—უპასუხა დელფინამ.—სიამოვნებით შემოგთავაზებდით, მაგრამ შინ თუ არ მივიტანეთ, მშობლები გაგვიწყრებიან.

— მაშ, სჯობს ამაზე არც ვიფიქრო. თუმცა, იგი ძალიან გემრიელი უნდა იყოს.

პატარებს სურდათ წაეყვანათ ძაღლი და სამუდამოდ დაეტოვებინათ სახლში, მაგრამ იცოდნენ, რომ მშობლები უარს ეტყოდნენ.

— წამოდით,—მაინც უთხრა დელფინამ. — ვთხოვთ დაგტოვონ ჩვენთან, სახლში.

— ძაღლი სიხარულით გაჰყვა გოგონებს, რომლებსაც მისი თოკი რიგრიგობით ეჭირათ.

— რა ტკბილი იქნება თქვენთან მეგობრობა, — თქვა ძაღლმა. — მაგრამ, რა გქვიათ, პატარებო?

— ჩემს დას, რომელსაც თქვენი თოკი უჭირავს, მარინეტი ჰქვია.

ძაღლი შეჩერდა, რომ დაეყნოსა მარინეტი...

— კარგი, — თქვა ძაღლმა. — მე უკვე ვიცნობ მარინეტს.

— ჩემს დას დელფინა ჰქვია,— თქვა ამჯერად მარინეტმა.

— კარგი, დელფინა, არც შენ დამავიწყდები დღეის შემდეგ. მე ბევრ გოგონას ვიცნობდი, მაგრამ ასეთი ლამაზი სახელები, როგორიცაა დელფინა და მარინეტი—არც ერთს არ რქმევიათ.

ამ ლაპარაკში გოგონები და უსინათლო ძაღლი სახლს მიუახლოვდნენ. პირველად ისინი კატამ შეამჩნია, მაშინვე სამზარეულოში გაიქცა და პატრონს შეატყობინა.

**გზაზე, ერთ მოსახვევთან, აბურძგნული ძაღლი დაინახეს. ეტყობოდა, უგუნებოდ იყო.**

— სად იპოვნეთ ეს ძაღლი. ან რატომ წამოიყვანეთ? — გაბრაზებით ჰკითხა მამამ.

— ეს საბრალო ბრმა ძაღლი გზაზე თავით ხეს მიეჯახა. და საცოდავი შესახედავი იყო. — უპასუხეს დელფინამ და მარინეტმა.

ძაღლმა გადადგა ნაბიჯი. უფროსებს თავი დაუკრა და ასე მიმართა:

— ვხედავ, რომ ბრმა ძაღლისათვის ადგილი არ გქონიათ. მაგრამ ვიდრე წავიდოდე. ნება მომეცით მოგილოცოთ. რომ ასეთი ჭკვიანი და მორჩილი ბავშვები გყავთ.

მან ისე შეაქო პატარები. რომ დედა სიყვარულით ულიმოდა ბავშვებს. მამის გული კი სიამაყით აივსო.

— ჩემი გოგონები, მართლაც რომ, კეთილები არიან, — თქვა მამამ. — კმაყოფილი ვარ, ჩემთან რომ მოგიყვანეს. კარგად გავახშმებთ და მოკასვენებთ კიდეც. მიამბეთ, გეთაყვა, რატომ დაბრმავდით.

ძაღლი ერთხელ კიდევ მოჰყვა თავის თავგადასავალს.

— თქვენ ძაღლებს შორის ძალიან გამოირჩევით, — უთხრა მამამ. — ამიერიდან აგიშენებთ ლამაზ ბუნაგს და მანამ იცხოვრებთ, სანამ გენდომებათ.

პატარები სიხარულისაგან გაწითლდნენ. კატასაც გული მოულბო ამ სიტყვებმა და მეგობრულად შეჰყურებდა ძაღლს.

— ბედნიერი ვარ, — წამოიძახა ძაღლმა. — არ მოველოდი, თუ ვიპოვნიდი თავშესაფარს, სადაც ასე კარგად მიმიღებდნენ.

პატარებს მოსწონდათ ძაღლი. როცა ისინი საყიდლებზე მიდიოდნენ, ძაღლს ეუბნებოდნენ:

— წამოხვალ ჩვენთან ერთად?

— როგორ არა. ჩქარა გამიკეთეთ საყელური.

და გაუდგებოდნენ გზას. ისინი მთელ გზაზე ხტუნვა-ხტუნვითა და თამაშით მიდიოდნენ. კატა კი, როდესაც გაიგებდა, რომ ძაღლი დელფინასა და მარინეტთან ერთად ბაზარში მიდიოდა, ცუდ გუნებაზე დგებოდა. როცა პატარა გოგონები სკოლაში იყვნენ. ძაღლი და კატა ერთმანეთს არ სცილდებოდნენ. წვიმიან დღეებს ისინი ერთად ატარებდნენ ძაღლის ბუნაგში, ბაასობდნენ ან ეძინათ ერთიმეორის გვერდით; კარგ დარში კი ძაღლი დაიხრებოდა, შეისვამდა კატას ზურგზე და სასეირნოდ გასწევდნენ.

ერთ დღეს, როდესაც პატარებმა ჰკითხეს ძაღლს, გინდა თუ არა ჩვენთან ერთად ბაზარში წასვლაო, კატა ცუდ გუნებაზე დადგა და გოგონებს უთხრა: — თქვენ მარტოც შეგიძლიათ წახვიდეთ, უსინათლო ძაღლისათვის კი უხერხულია გზაზე სეირნობაო.

დელფინამ შეამჩნია, რომ კატა გაბრაზებული იყო და ფერება დაუწყო, მაგრამ კატამ ხელები დაუკაწრა.

— ესეც შენ, — უთხრა კატამ.

ძაღლი ძლივს უჯერებდა თავის ყურებს და კატას გაკვირვებით უთხრა:

— უნდა გითხრა, ასეთი ბრაზიანი არ მეგონე! არა ვარ შენით კმაყოფილი. პატარებო, დავტოვოთ იგი და ბაზრისაკენ გავწიოთ.

შეწუხდა კატა. აღარ იცოდა რა ეპასუხნა. იგი მიხვდა, რომ ცუდად მოიქცა; ყველაზე მეტად კი ის სტანჯავდა, რომ ძაღლს იგი ამიერიდან აღარ უყვარდა. დარდისაგან სხვენზე ავიდა და მთელი დღე იქ გაატარა. მეორე დღეს კი, უძილობით თვალებდაწითლებული, დილით ადრე ჩამოვიდა სხვენიდან და ძაღლის ბუნაგისაკენ გაემართა. დაჯდა ძაღლის წინ და უთხრა:

— გამარჯობა, ძაღლო...

— გამარჯობა, გამარჯობა, — წაიბუზღუნა ძაღლმა უკმაყოფილოდ.

— გეტყობა, ცუდად გაატარე ღამე.

— არა, კარგად მეძინა... მხოლოდ უსინათლობა ძალიან მაწუხებს.

— მეც სწორედ შენი უსინათლობა მაღონებს, და თუ შენი სურვილიც იქნება, წავიღებ შენს სიბრმავეს და ისევე მოგემსახურები, როგორც შენ შენს პატრონს ემსახურებოდი.

ძაღლს პირველად სიხარულისაგან ენა ჩაუვარდა, ვერაფრის თქმა ვერ



ძაღლმა გადადგა ნაბიჯი, უფროსებს თავი დაუკრა.

მოახერხა, ტირილი მოერია. — ჩემო ფისო, რა კეთილი ხარ, — ძლივს წაიბუტბუტა მან. — არ მინდა... შენ ისეთი გულკეთილი ხარ...

მაგრამ კატა ისე ეხვეწებოდა, რომ ძაღლი დათანხმდა.

ძაღლმა მზის სინათლე რომ დაინახა, მთელის ხმით დაიყვირა:

— რა კარგია კატა, რა კეთილი!

ამ ხმის გაგონებაზე პატარები მოცვივდნენ; როცა გაიგეს, რაც მოხდა, ტირილით შემოეხვივნენ კატას. კეთილმა კატამ თავი დახარა, სიხარულისაგან ველარ გრძნობდა, რომ ბრმა იყო.

ზაფხულის ერთ მზიან დილით კატა ჩრდილში დაწოლილიყო. უეცრად იგრძნო. რომ ზურგზე რაღაცამ გადაურბინა, მიხვდა, თაგვი იყო; მაშინვე სწვდა და დაიჭირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბატონო კატავ!—უთხრა თაგვმა.—გამიშვით, პატარა თაგუნიას გზა ამებნა...

— პატარა თაგუნიავ, მე შენ შეგჭამ,—უთხრა კატამ.

— ბატონო კატავ, თუ არ შემჭამ, პირობას გაძლევ, რომ თქვენი მონა-მორჩილი ვიქნები.

— კარგი. აი, მე ბრმა ვარ. თუ ჩემს უსინათლობას წაიღებ, სიცოცხლეს შეგინარჩუნებ, ეზოში თავისუფლად სეირნობას შესძლებ, ჩემს საჭმელსაც კი შენ მოგცემ.

თაგვი შეყოყმანდა, მაგრამ ბოლოს დათანხმდა:

— უმჯობესია დავბრმავდე, ვიდრე შემჭამო.

როდესაც მარინეტი და დელფინა სკოლიდან დაბრუნდნენ, გაოცდნენ პატარა თაგვის დანახვაზე, რომელიც ეზოში, კატასთან ერთად სეირნობდა. დიდხანს ვერ დარწმუნებულიყვნენ, რომ კატა განიკურნა და მის მაგიერ თაგვი დაბრმავებულიყო.

— ეს პატარა—კეთილი არსება არის,—თქვა კატამ. — გირჩევთ, იზრუნოთ მასზე.

— დამშვიდებული იყავი, არაფერი მოაკლდება,—უპასუხეს პატარებმა.

როდესაც ძაღლი დაბრუნდა, ისიც მეტად გაახარა მეგობარი კატის განკურნებამ.

ერთ კვირა დღეს ძაღლი ყეფით გაემართა გზისაკენ, საიდანაც კაცის ფეხის ხმა მოესმა. ეს, თურმე, მოხეტიალე კაცი იყო, რომელმაც სახლთან გავლისას ეზოში გადმოიხედა, შეამჩნია ძაღლი და მისკენ გამოემართა.

— ძაღლო, ნუთუ ვერა მცნობ?!

— როგორ არა,—მიუგო ძაღლმა,

—ჩემი ძველი პატრონი ბრძანდებით.

— მაპატიე, შენს მიმართ ცუდად მოვიქეცი.

— მე უკვე გაპატიეთ, მაგრამ აქედან წადით.

— მას შემდეგ, რაც მხედველობა დამიბრუნდა, ძალიან უბედური ვარ, რადგან, სიზარმაცის გამო, ვერ გადამიწყვეტია მუშაობა, ამიტომ კვი-

**—ბატონო კატავ, თუ არ შემჭამ, პირობას გაძლევ, რომ თქვენი მონა-მორჩილი ვიქნები.**

რაში მხოლოდ ერთხელ მიხდება ჭამა, ეს კი სიკვდილს უდრის ჩემთვის. სხვა დროს, როდესაც უსინათლო ვიყავი, მუშაობა არ მჭირდებოდა, ადამიანები მაძლევდნენ საჭმელ-სასმელს, გახსოვს? ჩემო ძაღლო, ხელახლა დამიბრუნე ჩემი უსინათლობა და ისევ მატარე გზებზე!

— თქვენ შეიძლება მართლაც ბედნიერი იყავით, მაგრამ მე კი—არა. თქვენ ცუდი პატრონი ბრძანდებოდით. მე ვერ დავივიწყებ თქვენს ავგულიანობას. თუმცა, მაინც ვერ დაგიბრუნებთ უსინათლობას, რადგან კატამ მიიღო ჩემი უსინათლობა.

კაცი მივიდა კატასთან, გადაუსვა ზურგზე ხელი და უთხრა:

— საოდავო ბებერო კატავ, შენ ძალიან უბედური ხარ. თუ გინდა, შენს მაგიერ გავხდები უსინათლო, სამაგიეროდ შენ გამიძღვები გზებზე ისე, როგორც ამას უწინ ძაღლი აკეთებდა.

— მე რომ უსინათლო ვიყო, შეიძლება კიდეც დავთანხმებულიყავი, შაგრამ მე ბრმა აღარა ვარ. თაგვმა წაიღო ჩემი სიბრმავე,—მიუგო კატამ.

კაცი ერთი წუთით შეყოყმანდა, მერე მაინც მივიდა თაგვთან, დაიხარა და ტკბილად უთხრა:

— საოდავო თაგუნავ, მეტად შესაბრალისი ხარ!

— ეჰ, ნამდვილად, ბატონო,—უპასუხა თაგვმა.—პატარა გოგონები მეტად კეთილები არიან, აგრეთვე ძაღლიც. მაგრამ მაინც მოვისურვებდი, რომ თვალში სინათლე არ დამკარგვოდა.

— გინდა, შენს მაგიერ მე გავხდე უსინათლო და შენ კი გამიწიო სამსახური?

— სიამოვნებით, ბატონო! გამოგყვებით, სადაც მოისურვებთ.

დაბრმავებულმა კაცმა ნაბიჯი გადადგა, უკან ბარბაცით გაჰყა თაგვი, რომელიც თათებით თოკის ბოლოს დაჭერას ცდილობდა და ბრმა კაცის პატარა მოძრაობაზედაც კი სასაცილოდ გადატრიალდებოდა ხოლმე. დელფინას, მარინეტს და კატას აღელვებდათ ეს სანახაობა. ძაღლი მთლად კანკალებდა, როცა ხედავდა, რომ კაცი ქვებს ეჯახებოდა. პატარებს ძაღლი საყელურით ეჭირათ და ეფერებოდნენ. უეცრად იგი გაუსხლტა გოგონებს და ბრმისაკენ გაიქცა.

— ძაღლო!—შეჰყვირეს პატარებმა.

— ჩემო მეგობარო!—მიაძახა კატამაც. ძაღლი კი გარბოდა და არაფერი ესმოდა. როდესაც უსინათლომ თავისი თოკი მის საყელურს მიაბა, ძაღლს თავი არ მოუბრუნებია, რათა არ დაენახა პატარები, რომლებიც მეგობარ კატასთან ერთად ქვითინებდნენ.

თარგმნა **თ. ფურცხვანიძემ**

# ათასად კაცი დაფასდა, ათიათასად — ზრდილობა...



## რა უნდა ვიცოდეთ

მეგობრებო, თქვენ თავიდანვე უნდა შეისისხლხორცოთ ეს ბრძნული აფორიზმი: «ათასად კაცი დაფასდა. ათიათასად — ზრდილობა». ზრდილობა ადამიანის ერთი ყველაზე საუკეთესო თვისებათაგანია. სკოლასა თუ ოჯახში, პიონერულ რაზმეულებსა თუ ბანაკებში, ცდილობენ ჩანერგონ თქვენში საუკეთესო ჩვევები. მაგრამ, თუ თავად თქვენ არ გექნებათ სურვილი იყოთ ზრდილობიანი, თავაზიანი, თუ თავად არ ზრუნავთ ამაზე, მხოლოდ რჩევა-დარიგება არაა საკმარისი. ნუ დავერიდებით ერთმანეთს, პირდაპირ ვუთხრათ თუ რომელიმეს უზრდელობას შევამჩნევთ, თვით საუკეთესო მეგობარსაც კი. ხომ გაგიგონიათ: «მოყვარეს პირში უძრახეო»... ხშირად ხდება, რომ ესა თუ ის თქვენი ამხანაგი საუკეთესო მოწაფედ ითვლება კლასში, საზოგადოებრივ დავალებასაც დიდი სიამოვნებით ასრულებს, ერთი სიტყვით, თითქმის სანიმუშოა. მაგრამ იმავე მოსწავლეს აქვს ერთი დიდი ნაკლი: იგი არ არის კულტურული. ყოყლოჩინობს, მედიდურობს, ამპარტავნულად დაჰყურებს უმცროსებს. მოდით, ჩვენი საუბრის თემაც სწორედ ეს იყოს: რა უნდა ვიცოდეთ ზრდილობიანი ქცევის შესახებ.

გოგი ჩვენი ეზოს საუკეთესო ფეხბურთელია. იგი ძალიან უყვარ თამხანაგებს. მაგრამ მე ხშირად ვხედავ მას ოჯახში, მესმის როგორ ეკამათება თავისიანებს. ლაპარაკობს მკვახედ, უხეშად. მას თითქოს სცხვენია სიყვარული გამოიჩინოს ბებიის, დედისა და პატარა დის მიმართ: «გოგო კი არა ვარო» — ამბობს ხოლმე იგი აგდებულად. მე გულს მტკენს გოგის საქციელი. მინდა თქვენი ჟურნალის საშუალებითაც ვუთხრა, რომ კულტურული და ზრდილობიანი ადამიანი არასოდეს არ იქნება მკვახე, უხეში. მოურიდებელი.

მაგრამ, აბა, ჩემს მეორე მეზობელს — მანანას შეხედეთ: იგი უფროსებს ყოველთვის «თქვენობით» მიმართავს. თავაზიანია თვით ყველაზე პატარებთანაც კი. თითქოს მთელ ეზოს სიხარული ეფინება, როცა მანანა გამოჩნდება ხოლმე. იგი ყველას თანაბრად უყვარს მისი ზრდილი ქცევის გამო.

მინდა ერთი შემთხვევაც გიამბოთ: ნუგზარი ბავშვობისას კიბიდან გადმოვარდა, ფეხი დაუზიანდა და ამის შემდეგ კოჭლობით დადის. ერთხელ, როცა სამსახურიდან ვბრუნდებოდი, ყური მოვკარი როგორ დავობდა ნუგზარი ერთ ბიჭუნასთან. ბიჭუნამ ნუგზარის გასახელებლად თქვა: «წადი, შე ჩოლახაო». როგორ მეტკინა გული, როცა ნუგზარის გაფითრებულ სახეს შევხედე. ვიგრძენი, რომ სხვებსაც ასევე დაწყდათ გული. ჩემო მეგობრებო, გახსოვდეთ, რომ ადამიანს ფიზიკური ნაკლი არ უნდა უკიჟინოთ, ეს ყველაზე დიდი უზრდელობაა.

რეზო ჩემს თვალწინ გაიზარდა. ახლა იგი უკვე ამთავრებს სკოლას. ის და მისი მეგობრები გატაცებული არიან ლიტერატურით, მუსიკით, კინოხელოვნებით. ისინი ერთად მეცადინეობენ, ერთად უსმენენ რადიომიმღებს. ეს ძალიან კარგია. მაგრამ, როცა მათი კამათი ღრიალში გადადის, და მით უმეტეს, როცა შუაღამეა, ეს უკვე არაა სასიამოვნო. ამასთან ერთად, ისინი ზოგჯერ მთელი ძალით რთავენ რადიომიმღებს და მეზობლებს ძილს უფრთხობენ. მოდით, რეზოსთან ერთად დაიმახსოვრეთ, რომ ზრდილობიანი ადამიანი ის არის, ვინც არ დაარღვევს საერთო წესრიგს, სხვების მყუდროებას.



მარინე შრომისმოყვარე გოგონაა. დღენიადაგ ფუსფუსებს სახლში, ეზოში: იატაკს წმენდავს, სარეცხს ფენს, აუთოებს და სხვა. ყველა აქებს მარინეს, მაგრამ მე ისეთი ნაკლი 'შევამჩნიე ჩემს პატარა მეზობელს, რომ გული მეთანაღრება: როცა ის სკოლისაკენ, ან სხვა რაიმე საქმეზე მიიჩქარის, ავიწყდება ნაცნობების მისალმება. მარინეს ეს ჩვევა თანდათანობით შეესისხლხორცა და საცაა უსალმოს სახელი შეერქმევა. ერთხელ მარინე კიბეზე შევაჩერე და ამ ნაკლზე მივუთითე. გოგონა გაწითლდა, მაგრამ თავი არ უმართლებია. ვნახოთ, როგორ გამოსწორდება მარინე. მანამდე კი თქვენც იცოდეთ, რომ ყოველ დილით უნდა მიესალმოთ მეზობლებს, იყოთ თავაზიანები უცნობების მიმართაც. ვაჟებმა არ უნდა დაივიწყოთ, რომ ოჯახში, სკოლაში თუ რომელიმე დაწესებულებაში შესვლისას ყოველთვის უნდა მოიხადოთ ქუდი და ისე მიესალმოთ იქ მყოფთ. ამასთან ერთად, არ დაგავიწყდეთ, რომ ოთახში პალტოთი, კალოშებითა და ბოტებით შესვლა არ შეიძლება.

ნ. ხოუერია

# ღლეს პიონერები გასაგებენ კინოთეატრს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირა დღე იყო. კინოთეატრ „ამირანის“ წინ ხალხის ტევა არ იყო. სურათის დაწყებას ათიოდე წუთი აკლდა, მაყურებელი შესასვლელისაკენ ისწრაფვოდა. თემო და ანდრო, როგორც იყო, წინ გაძვრნენ. თემოს ბილეთი ხელში ეჭირა და მაშინვე კონტროლიორს გაუწოდა. გაუკვირდა, რომ კონტროლიორი მისი ტოლი გოგონა იყო. მაგრამ ამისათვის სად ეცალა ახლა. თვითონ კი შევიდა. მაგრამ... ანდრომ ბილეთი ველარ იპოვნა. გარეთ დარჩა.

თემომ კარებიდან თავი გამოჰყო და გაბრაზებით მიმართა ამხანაგს:— რა მოგვიდა. კარგად მონახე, მგონი, უბის ჯიბეში შეინახე.

ანდრომ ყველა ჯიბე ამოქექა, მაგრამ ბილეთი არსად იყო.

— შედი. ან გადი. ხომ ხედავ. ხალხს ხელს უშლი.—მწყრალად მიმართა კონტროლიორმა თემოს.

— იცი რა. ჩემმა ამხანაგმა ბილეთი დაკარგა. დედას გეფიცები, ბილეთი ჰქონდა. ჩემს გვერდით. გინდათ შეამოწმეთ,—ემუდარებოდა მუშაობაში გართულ კონტროლიორს შეწუხებული თემური.

ღელავს კინომექანიკოსი იური გალუსტიანი. კინოდარბაზში მისი ტოლებითაა სავსე. იხე უნდა გაუძღვეს საქმეს, რომ თავი არ შეირცხვინოს.

დღეს საინტერესო ფილმი მიდის. ყველა ბილეთი გაყიდულია. ადმინისტრატორს—ვასტანგ ცომაიას უარის მეტი რაღა დარჩენია?..

— ადმინისტრატორს მიმართე. — უთხრა კონტროლიორმა თემურს და შორიახლოს მდგარ ბიჭზე მიუთითა.

თემურმა ბიჭი შეათვალიერა და ისევ კონტროლიორს მიუბრუნდა:

— აბა, რომელია ადმინისტრატორი?

— აი, შენს პირდაპირ რომ დგას.

თემური გაუბედავად წავიდა ბიჭისაკენ, რომელსაც გულზე წითელი ყელსახვევი ეკეთა.

— მე ადმინისტრატორი მინდა, — მიმართა თემომ ბიჭს.

— მე ვარ. რა მოხდა?

— ჩემმა ამხანაგმა ბილეთი დაკარგა...—დაიწყო თემომ, მაგრამ „ადმინისტრატორმა“ წინადადება არ დაასრულებინა და ანიშნა დირექტორთან გამომყეო.

დირექტორის კაბინეტში კი სულ მთლად დაიბნა თემური. სიზმარში ხომ არ ვარო—გაიფიქრა. დირექტორის მაგიდასთან გოგონა იჯდა. „ადმინისტრატორმა“ „დირექტორს“ მოახსენა თემურის „თავაბნეული“ მეგობრის ამბავი, „დირექტორმა“ ანდროს კინოში შესვლის ნება დართო.

მესამე ზარი უკვე დარეკილი იყო, და ბიჭები თითქმის სირბილით შეცვივდნენ დარბაზში.

— ნელა, ტყეში ხომ არა ხართ!— მკაცრად მიმართა ბიჭებს „მებილეთემ“—შავგვრემანმა გოგონამ.—სად არის თქვენი ადგილები?

მაგრამ ამ დროს შუქი ჩაქრა. ბიჭებმა ბილეთების ჩვენება ვეღარ მოასწრეს და იქვე, თავისუფალ ადგილზე ჩამოსხდნენ.

კინოდან რომ გამოვიდნენ, თემური ანდროს უმტკიცებდა, კინო „ამირანის“ დირექტორად და ადმინისტრატორად პიონერები მუშაობენო, მაგრამ ანდრომ არასდიდებით არ დაიჯერა თემურის „ზღაპარი“.

ალბათ, არც თქვენ დაიჯერებთ. მაშ, მოდით, ყველაფერს თავიდან გიამბობთ.

ეს მოხდა სწორედ ერთი წლის წინათ, იანვარში. თბილისის 25-ე საშუალო სკოლის დერეფანში დიდი, ლამაზად გაფორმებული აფიშა იყო გამოკრული:

„ყურადღება, ყურადღება!

18 იანვარს მოხდება პიონერული კინოთეატრის საზეიმო გახსნა. გიწვევთ ჩვენს კინოთეატრში“.

სკოლაში პიონერული კინოთეატრის მოწყობა პირველად რაზმეულის საბჭომ გადაწყვიტა. უფროსი პიონერხელმძღვანელი მაია ხალიპოვა საგონებელში ჩავარდა. ამ საქმის მცოდნე არავინ ეგულებოდა სკოლაში და რა ექნა, არ იცოდა. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის კინოკაბინეტში წავიდა რჩევისათვის. იქ კინომექანიკოსთა კურსებზე ჩარიცხეს. პიონერხელმძღვანელი ერთ თვეში დაეუფლა კინომექანიკოსობას და პიონერული კინოთეატრის შექმნის იდეამაც ფრთები შეისხა.

რაზმეულის საბჭომ პირველად კინოთეატრის შტატი შეადგინა და კინომექანიკოსთა წრე ჩამოაყალიბა. დირექტორად ჭენია ბურტეინი დაინიშნა, ადმინისტრატორად — ვახტანგ ცომაია, მებილეთეებად—ნუნუ ხუციშვილი, ერვანდ პეტროსიანი, საშა ზვიადაძე, კონტროლიორებად—სიომა დავითაშვილი და ტანია ხახანოვა. სულ 22 პიონერისაგან შედგებოდა შტატი. მალე იური გალუსტიანი და ვიქტორ ბარათოვი შესანიშნავად დაეუფლნენ კინომექანიკოსობას.

და აი, დადგა კინოთეატრის საზეიმო გახსნის დღეც. სტუმრებიც მოიწვიეს ბავშვებმა—კინოთეატრ „ამირანის“ მუშაკები.

სეანსის დაწყების წინ ბავშვებს პიონერული კინოთეატრის გახსნა მიულოცეს სკოლის დირექტორმა, კინოთეატრ „ამირანის“ დირექტორმა, პიონერხელმძღვანელმა. სიტყვებით გამოვიდნენ პიონერებიც.

შემდეგ ბავშვებმა თავიანთ კინოთეატრში ნახეს სურათები „ინდონეზიაში“ და „ანტარქტიდა“.

— რა შუაშია პიონერული კინოთეატრი და „ამირანში“ ბავშვებს მუშაობაო? — იკითხავთ თქვენ. მოთმინეთ, ამასაც გეტყვით. პიონერული კინოთეატრის საზეიმო გახსნაზე კინოთეატრ „ამირანის“ დირექტორი შოთა ტატიშვილი ბავშვებს დაპირდა თქვენი კინოთეატრის შეფობას ვიკისრებთო. ჩვენ კი თქვენს კინოთეატრს გავუწევთ შეფობასო.—უთხრეს პიონერებმა. ასე დაიწყო ამ ორი კინოთეატრის მეგობრობა. ერთ კვირა დღეს კინოთეატრ „ამირანში“ დღის ორ სეანსს 25-ე სკოლის პიონერული კინოთეატრის „მუშაკები“ განაგებენ. კონტროლიორებად, მებილეთეებად, ადმინისტრატორად, დირექტორად—ყველა პოსტზე ბავშვები არიან. ნუ გაგიკვირდებათ. კინოფილმსაც პიონერები ვიქტორ ბარათოვი და იურა გალუსტიანი უჩვენებენ. მომდევნო კვირა დღეს კი პიონერულ კინოთეატრში დასახმარებლად „ამირანის“ მუშაკები მიდიან. და ასე მეორდება ყოველთვის.

უკვე ერთი წელია, რაც 25-ე სკოლის კინოთეატრი არსებობს. ამ ხნის მანძილზე ბავშვებმა ბევრი სასწავლო ფილმი უჩვენეს პიონერებს, სხვა სკოლებიდან მოსულ სტუმრებს.

ვინ იცის, მომავალში, იქნებ, ბევრ მათგანს კინოთეატრშიც მოუხდეს მუშაობა. არ გაუჭირდებათ, საკუთარ კინოთეატრში მეძენილი ცოდნა გამოადგებათ.

**ვ. ივანიძე**

ფოტო **დ. იაკობაშვილისა**

**საფაცაა, მესამე ზარი დაირეკება. „ჩქარა, ჩქარა!“ —იღიმება კონტროლიორი ტანია ხახანოვა.**

— ადმინისტრატორს მიმართე, — უთხრა კონტროლიორმა თემურს და შორიახლოს მდგარ ბიჭზე ძიუთითა.

თემურმა ბიჭი შეათვალიერა და ისევ კონტროლიორს მიუბრუნდა:

— აბა, რომელია ადმინისტრატორი?

— აი, შენს პირდაპირ რომ დგას.

თემური გაუბედავად წავიდა ბიჭისაკენ, რომელსაც გულზე წითელი ყელსახვევი ეკეთა.

— მე ადმინისტრატორი მინდა, — მიმართა თემომ ბიჭს.

— მე ვარ. რა მოხდა?

— ჩემმა ამხანაგმა ბილეთი დაკარგა... — დაიწყო თემომ, მაგრამ „ადმინისტრატორმა“ წინადადება არ დაასრულებინა და ანიშნა დირექტორთან გამომყეო.

დირექტორის კაბინეტში კი სულ მთლად დაიბნა თემური. სიზმარში ხომ არ ვარო — გაიფიქრა. დირექტორის მაგიდასთან გოგონა იჯდა. „ადმინისტრატორმა“ „დირექტორს“ მოახსენა თემურის „თავაბნეული“ მეგობრის ამბავი, „დირექტორმა“ ანდროს კინოში შესვლის ნება დართო.

მესამე ზარი უკვე დარეკილი იყო, და ბიჭები თითქმის სირბილით შეცვივდნენ დარბაზში.

— ნელა, ტყეში ხომ არა ხართ! — შკაცრად მიმართა ბიჭებს „მებილეთემ“ — შავგვრემანმა გოგონამ. — სად არის თქვენი ადგილები?

მაგრამ ამ დროს შუქი ჩაქრა, ბიჭებმა ბილეთების ჩვენება ვეღარ მოასწრეს და იქვე, თავისუფალ ადგილზე ჩამოსხდნენ.

კინოდან რომ გამოვიდნენ, თემური ანდროს უმტკიცებდა, კინო „ამირანის“ დირექტორად და ადმინისტრატორად პიონერები მუშაობენო, მაგრამ ანდრომ არასდიდებით არ დაიჯერა თემურის „ზღაპარი“.

ალბათ, არც თქვენ დაიჯერებთ. მაშ, მოდით, ყველაფერს თავიდან გიამბობთ.

ეს მოხდა სწორედ ერთი წლის წინათ, იანვარში. თბილისის 25-ე საშუალო სკოლის დერეფანში დიდი, ლამაზად გაფორმებული აფიშა იყო გამოკრული:

„ყურადღება, ყურადღება!

18 იანვარს მოხდება პიონერული კინოთეატრის საზეიმო გახსნა. გიწვევთ ჩვენს კინოთეატრში“.

სკოლაში პიონერული კინოთეატრის მოწყობა პირველად რაზმეულის საბჭომ გადაწყვიტა. უფროსი პიონერხელმძღვანელი მაია ხალიპოვა საგონებელში ჩავარდა. ამ საქმის მცოდნე არავინ ეგულებოდა სკოლაში და რა ექნა, არ იცოდა. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის კინოკაბინეტში წავიდა რჩევისათვის. იქ კინომექანიკოსთა კურსებზე ჩარიცხეს. პიონერხელმძღვანელი ერთ თვეში დაეუფლა კინომექანიკოსობას და პიონერული კინოთეატრის შექმნის იდეამაც ფრთები შეისხა.

რაზმეულის საბჭომ პირველად კინოთეატრის შტატი შეადგინა და კინომექანიკოსთა წრე ჩამოაყალიბა. დირექტორად ჟენია ბურტეინი დაინიშნა, ადმინისტრატორად — ვახტანგ ცომაია, მებილეთეებად — ნუნუ ხუციშვილი, ერვანდ პეტროსიანი, საშა ზვიადაძე. კონტროლიორებად — სიომა დავითაშვილი და ტანია ხახანოვა. სულ 22 პიონერისაგან შედგებოდა შტატი. მალე იური გალუსტიანი და და ვიქტორ ბარათოვი შესანიშნავად დაეუფლნენ კინომექანიკოსობას.

და აი, დადგა კინოთეატრის საზეიმო გახსნის დღეც. სტუმრებიც მოიწვიეს ბავშვებმა — კინოთეატრ „ამირანის“ მუშაკები.

სეანსის დაწყების წინ ბავშვებს პიონერული კინოთეატრის გახსნა მიულოცეს სკოლის დირექტორმა, კინოთეატრ „ამირანის“ დირექტორმა, პიონერხელმძღვანელმა. სიტყვებით გამოვიდნენ პიონერებიც.

შემდეგ ბავშვებმა თავიანთ კინოთეატრში ნახეს სურათები „ინდონეზიაში“ და „ანტარქტიდა“.

— რა შუაშია პიონერული კინოთეატრი და „ამირანში“ ბავშვების მუშაობაო? — იკითხავთ. [illegible] მინეთ, ამასაც გეტყვით. პიონერული კინოთეატრის საზეიმო გახსნაზე კინოთეატრ „ამირანის“ დირექტორი შოთა ტატიშვილი ბავშვებს დაპირდა თქვენი კინოთეატრის შეფობას ვიკისრებთო. ჩვენ კი თქვენს კინოთეატრს გავუწევთ შეფობასო. — უთხრეს პიონერებმა. ასე დაიწყო ამ ორი კინოთეატრის მეგობრობა. ერთ კვირა დღეს კინოთეატრ „ამირანში“ დღის ორ სეანსს 25-ე სკოლის პიონერული კინოთეატრის „მუშაკები“ განაგებენ. კონტროლიორებად, მებილეთეებად, ადმინისტრატორად, დირექტორად — ყველა პოსტზე ბავშვები არიან. ნუ გაგიკვირდებათ, კინოფილმსაც პიონერები ვიქტორ ბარათოვი და იურა გალუსტიანი უჩვენებენ. მომდევნო კვირა დღეს კი პიონერულ კინოთეატრში დასახმარებლად „ამირანის“ მუშაკები მიდიან. და ასე მეორდება ყოველთვის.

უკვე ერთი წელია, რაც 25-ე სკოლის კინოთეატრი არსებობს. ამ ხნის მანძილზე ბავშვებმა ბევრი სასწავლო ფილმი უჩვენეს პიონერებს, სხვა სკოლებიდან მოსულ სტუმრებს.

ვინ იცის, მომავალში, იქნებ, ბევრ მათგანს კინოთეატრშიც მოუხდეს მუშაობა. არ გაუჭირდებათ, საკუთარ კინოთეატრში მეძენილი ცოდნა გამოადგებათ.

ვ. ივანიძე

ფოტო **დ. იაკობაშვილისა**

**ხადაცაა, მესამე ზარი დაირეკება. „ჩქარა, ჩქარა!“ — იღიმება კონტროლიორი ტანია ხახანოვა.**

# ინდური ანაკვები

## ვაჭარი და მზიდავი

ერთი ვაჭარი მზიდავს მოურიგდა:

— მიმიტანე სახლამდე ქოთნებით სავსე ხურჯინი და გასამრჯელოდ სამ ისეთ რჩევას მოგცემ, რომ მთელი ქვეყნის სიმდიდრეს მოიხვეჭ.

მზიდავი დათანხმდა. გადაიგდო მხარზე ხურჯინი და გაჰყვა ვაჭარს. გზის მესამედი რომ გაიარეს, მზიდავმა ჰკითხა:

— ბატონო, პირველად რას მირჩევ?

— თუ ვინმემ გითხრას, შიმშილი სჯობია სიმაღლრესო, არავითარ შემთხვევაში არ დაუჯერო, — უთხრა ვაჭარმა.

— მშვენიერი რჩევაა! — დაემოწმა მზიდავი.

როცა გზის მეორე მესამედი მოთავდა, მზიდავმა ისევ ჰკითხა:

— მეორედ რაღას მირჩევ, ბატონო?

— თუ ვინმემ გითხრას, ფეხით სიარული ცხენით სიარულს სჯობიაო, ყურიც არ ათხოვო.

— აგაშენა ღმერთმა, მართალს ბრძანებ, —მიუგო მზიდავმა.

როცა ვაჭრის სახლს მიადგნენ, მზიდავმა მესამე რჩევა მოითხოვა.

— თუ ვინმემ გითხრას, შენზე სულელი კიდევ მინახავს სადმეო, არასგზით არ დაიჯერო,—მისცა მესამე რჩევა ვაჭარმა.

მზიდავი გაბრაზდა, ხურჯინი მიწაზე დაანარცხა და უთხრა:

— აბა, შენ თუ გითხრას ვინმემ, ამ ხურჯინში ერთი ქოთანი მაინც გადარჩებოდა მთელიო, შენც არასგზით არ დაიჯერო.

## ვ ი რ ი

ერთხელ ვირი თავის პატრონზე ფიქრობდა:

«რატომ უყვარს პატრონს ასე ძალიან ძაღლი? იმიტომ რომ, ის ოხერი ქლესაა, კუდს უქიცინებს, მის წინ წაღმა-უკუღმა ხტის და მუხლებში უჯდება. ერთი მეც უნდა ვცადო ძაღლივით ლაქუცი და მაშინ, ალბათ, მეც მომეფერება.»

გადაწყვიტა ასეც მოქცეულიყო.

ამასობაში პატრონი სახლში მოვიდა. ვირი მიუჩოჩდა ახლოს, დაიწყო წინ და უკან ცუნდრუკი: ხან მარჯვნივ გადახტება, ხან მარცხნივ, ხანაც მთელი ხმით ღრიალებს,—ვითომ ყეფს, მერე ყალყზე შედგა და პატრონს წინა ფეხები გულზე მიაყარა, ბოლოს მუხლზე დაჯდომაც მოუნდომა.

გულშემოყრილმა კაცმა ამდენს ვეღარ გაუძლო და ყვირილი მორთო. მოცვივდნენ მსახურები და განაზებულ ვირს ჯოხის ცემით ზურგზე ტყავი გააძვრეს.

## ქუჩის მწერალი

ერთმა კაცმა მეგობართან წერილის გაგზავნა მოინდომა და ქუჩის მწერალთან წავიდა.

— დამიწერე წერილი, — სთხოვა მწერალს.

— არ შემიძლია,— მიუგო მან. — ფეხი მტკივა.

— მერე რა მოხდა, ფეხით ხომ არ წერ!

— არა, მაგრამ ჩემს დაწერილს სხვა ვერავინ არჩევს: ვიცი, წასაკითხად ისევ მე დამიძახებენ და სიარული კი არ შემიძლია.

## რა უნდა დაივიწყო და რა უნდა დაიმახსოვრო

ერთი კაცი ბრძენს შეეკითხა:

— რა უნდა დაივიწყოს კაცმა და რა უნდა დაიმახსოვროს?

— თუ ვინმემ რაიმე სიკეთე გაგიკეთა—დაიმახსოვრე, მაგრამ თუ შენ გაუკეთე, დაივიწყე.—მიუგო ბრძენმა.

თარგმნა

**ი. სურგულაძემ**

ნახ. **ე. ამბოკაძისა**

# ცისარტყელა კალმახი

ცისარტყელა კალმახი, ისევე, როგორც ჩვენი მდინარის კალმახი, მტკნარი წყლის ბინადარია. მის სამშობლოდ ითვლება ჩრდილო ამერიკა. იგი გავრცელებულია ალიასკადან მექსიკამდე. წყნარი ოკეანის სანაპიროების მდინარეებსა და ტბებში. აქედან თითო-ოროლა ზღვაში ჩადის ხოლმე. მაგრამ უმეტესობა მტკნარ წყლებში რჩება.

ცისარტყელა კალმახის გავრცელების მიზნით მისი განაყოფიერებული ქვირითი ჩრდილო ამერიკიდან სხვადასხვა ქვეყანაში გაჰქონდათ და ამრავლებდნენ.

საქართველოში ცისარტყელა კალმახი 1952 წელს კურსკის ოლქიდან გადმოიყვანეს და აფხაზეთში, მდინარე შავწყალას ნაპირზე მოწყობილ კალმახის საშენ ტბორებში მოათავსეს, საიდანაც შემდეგ შავწყალაში გაავრცელეს.

1957—1959 წლებში შავწყალას კალმახის საშენი ტბორებიდან ცისარტყელა კალმახის ლიფსიტები მნიშვნელოვანი რაოდენობით თბილისის ზღვაშიც გადმოიყვანეს.



ცისარტყელა კალმახი ცივი წყლის მოყვარულია. ცხოვრობს მდინარეებში და ნაკადულებში, ოღონდ, ჩვენი მდინარის კალმახთან შედარებით, ის უფრო ამტანია, ადვილად ეგუება წყლის მაღალ ტემპერატურას. იტანს 30°-მდე სითბოს. საერთოდ კი, მისთვის ნორმალურ ტემპერატურად 20° ითვლება, მაშინ როდესაც, ჩვენი მდინარის კალმახი მდინარის 14—15° ტემპერატურის დროს სათავეებისაკენ იწევს, სადაც წყლის ტემპერატურა დაბალია. გარდა ამისა, ცისარტყელა კალმახი უფრო სწრაფად იზრდება, თუმცა იმავე საკვებით იკვებება, რითაც ჩვენი მდინარის კალმახი: ღოკოკინებით, კოღოსნარი მატლებით, წვრილი თევზებითა და მდინარეში ჩაცვივნული მწერებით—ჭიანჭველებით, პეპლებით, ხოჭოებით, კალიებით.

ცისარტყელა კალმახი გვიან შემოდგომიდან დაწყებული, გაზაფხულამდე მრავლდება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს,—იმის მიხედვით, თუ სად როგორია წყლის ტემპერატურა. ქვირითს ყრის მდინარის თხელი და ჩქარი დინების ქვა-ქვიშიან ადგილებში. დედალი კალმახი ქვირითს ზევიდან აყრის ქვიშას და ასე რჩება 1.5—3 თვე ლიფსიტების გამოჩეკამდე.

ცისარტყელა კალმახი 50—90 სანტიმეტრამდე იზრდება, წონით 0,8—1,6 კილოგრამია, იშვიათად 6 კილოგრამსაც აღწევს.

ცისარტყელა კალმახი, როგორც გარემო პირობების კარგი ამტანი, სწრაფად მზარდი და გემრიელი თევზი, მეტად მნიშვნელოვანია. ამიტომ ის მალე უნდა გავავრცელოთ ჩვენს წყალსაცავებში, ტბორებში და მდინარეებში.

ვნახოთ, ჩვენი ჟურნალის მკითხველებიდან ვინ უფრო ადრე ამოიყვანს ანკესით თბილისის ზღვიდან, მართლაც ცისარტყელასავით შეფერილ ამ ლამაზ კალმახს.

**რ. ელანიძე**

## მამაცობა, საზრიანობა, პატიოსნება

### პატარები გადაარჩინა

ეს ამბავი ნოვოურალსკის საბჭოთა მეურნეობაში მოხდა. ორმა სკოლამდელმა ბიჭუნამ ნავით მდინარეში გასეირნება მოინდომა. როცა ისინი ნაპირიდან უკვე შორს იყვნენ, ძველი ნავი წყლით გაივსო და ბოლოს კიდეც გადაბრუნდა. ბავშვებმა ჩაძირვა იწყეს.

ამ დროს, იქვე მახლობლად, მეექვსეკლასელი პიონერი საშა ნეტესა აღმოჩნდა. იგი არც კი დაფიქრებულა, ისე შევარდა მდინარეში და ბავშვებისკენ გასცურა. საშა ჯერ ერთ-ერთ მათგანს დაეხმარა ნავს მოჭიდებოდა, მეორე კი ნაპირზე გამოიყვანა. შემდეგ ისევ პირველს მიუბრუნდა.

საშა უხერხულად იღიმება, როცა ეუბნებიან, რომ მან მამაცური საქციელი ჩაიდინა.

— რა არის აქ განსაკუთრებული?—ამბობს იგი.—ყველა ასე მოიქცეოდა. უბრალოდ, მე კარგად ვცურავ.

### ცეცხლს გზა გადაუღობა

ძმები სიმონოვები ამურიდან ქალაქ ბლაგოვეშჩენსკში ბრუნდებოდნენ. როგორც ყოველთვის, ვლადიკი წინ მიდიოდა, კოსტია—უკან.

როცა პერვომაისკის პარკში გადიოდნენ, მათ შენიშნეს ცეცხლის ალი, რომელიც ნავთის ბაზიდან გამომავალ მილგაყვანილობას მოდებოდა.

— არიქა, გაიქეცი, დაცვას შეატყობინე ხანძრის შესახებ, — შეძახა ვლადიკმა უმცროს ძმას,—მე კი ჩაქრობას შევუდგები.

ვლადიკმა ჯერ პიჯაკით სცადა ცეცხლის ჩაქრობა, მაგრამ ალი მაინც წინ მიიწევდა სწრაფად. მაშინ ვლადიკმა ახალი გადაწყვეტილება მიიღო: მილგაყვანილობაზე ქვიშის დაყრა დაიწყო. ცეცხლის წინსვლა შეწყდა.

როცა სახანძრო დაცვიდან მოირბინეს, ხანძარი უკვე ჩაქრობილი იყო.

ჟურნალიდან: „პიონერ“ № 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკვალო საშინელი საათი კუპეში

**მ. პრბერი**

— უცნაურია, — თქვა შუახნის მგზავრმა და თავის მეზობელს მიუბრუნდა. — ჩემი ზარი, როგორც ჩანს, დაზიანებულია, ვერაფერით ვერ გამოვიძახე სტიუარდესა.

მისმა მეზობელმა, ხმელი სახის, სამოცი წლის მღვდელმა უხმოდ დააჭირა თავის ზარს თითი და კვლავ კითხვა განაგრძო.

სტიუარდესა არ ჩანდა.

„ალბათ ლაუბობს ეკიპაჟთან, — გაიფიქრა მგზავრმა. — ან შეიძლება სულაც ძინავს". წყალი უნდოდა. მისი ავადმყოფი გული ვერ იტანდა თვითმფრინავით მგზავრობას. გული ტკივილის მოახლოებას გრძნობდა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სასწრაფოდ დამამშვიდებელი ზომები უნდა მიეღო. მაგრამ როგორ მიეღო ფხვნილი უწყლოდ? იგი ისევ მღვდელს მიუბრუნდა.

— მამაო... — დაიწყო მან უკვე შეცვლილი ხმით, მაგრამ ფრაზის დამთავრება ვერ მოასწრო, მღვდელი სწრაფად წამოდგა და მალე მინერალური წყლით სავსე ჭიქა შემოიტანა.

— სტიუარდესა ვერ შევამჩნიე, — თქვა მან და თან ჭიქა გაუწოდა. — მაგრამ, მგონი, ახლა აღარ არის საჭირო მისი შეწუხება.

მგზავრმა თავი დაუქნია — ტკივილი მიუჩეხებოდა. მერე ჭიქა გადადგა და უნებლიეთ მზერა პილოტის კაბინისაკენ გაექცა. კარებზე წითლად ენთო წარწერა: „შეიკარით ქამრები". „ალბათ გამორთვა დაავიწყდათ",— გაიფიქრა მან, რადგან თვითმფრინავი წყნარად მიცურავდა ღრუბლებს ზემოთ. ამ უმნიშვნელო დეტალმა იგი აიძულა სავარძლიდან წამომდგარიყო. წამოდგა და ნელი ნაბიჯით პილოტის კაბინას მიუახლოვდა. კარები ადვილად გაიღო. პირველი, რაც მას თვალში მოხვდა, ნოხზე გაშხლართული სტიუარდესა იყო, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს კარებისაკენ წამოსულს ვიღაცამ ფეხი გამოსდოო. მახთან შორიახლოს, ერთ-ერთ საწოლზე გულხელდაკრეფილი, თვალდახუჭული იწვა ვიღაცა. მარჯვნივ, რკინის სავარძელში, მოხრილი, ხელებზე თავდაყრდნობილი რადისტი იჯდა. წინ, სამართავ საჭესთან, ეკიპაჟის ორი სხვა წევრი საჯდომიდან ჩამოცურებული, უცნაურ პოზაში ჩაკეცილიყო. მგზავრმა ხელი შეახო ერთ მათგანს, მას ღრმა ძილით ეძინა. მერე ბარბაცით კიდევ გააკეთა რამდენიმე ნაბიჯი, მძლავრად შეანჯღრია ერთ-ერთი პილოტი, მაგრამ იმ წამსვე ხელი უშვა: ცხადი იყო, მთელ ეკიპაჟს რაღაც ნარკოზის ძალით, ღრმა ძილით ეძინა. მას ცოტაოდენი წარმოდგენა ჰქონდა თვითმფრინავის მართვაზე და მიხვდა, რომ ავტოპილოტი ჩართული იყო; მონოტონურად გუგუნებდა ოთხი მოტორი და თვითმფრინავი მშვიდად მიცურავდა ცის ერთფეროვან სივრცეში. ახე ივლიდა იგი მანამ, სანამ არ შეხვდებოდა რაიმე წინააღმდეგობას, ან არ შეიცვლებოდა ამინდი. ამიტომ იყო სწორედ, რომ მგზავრებმა აქამდე ვერაფერი შეამჩნიეს. საშინელების ცივი ხელი თითქოს ყელში სწვდა მგზავრს, იგი თოფნაკრავივით გავარდა სალონში. წინა რიგში მჯდომებმა მის გათეთრებულ სახეს რომ შეხედეს, ადგილებიდან წამოცვივდნენ; ერთი ოფიცერი — პარაშუტისტი სხვაზე უმალ მიიჭრა მასთან და მკლავი გამოსდო. მგზავრმა თვალით ანიშნა კარებზე, საიდანაც ეს-ეს იყო თვითონ გამოვიდა. პარაშუტისტი და ორი სხვა მგზავრი კაბინაში შევიდნენ. როცა რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი კვლავ გამოჩნდნენ, ყველასათვის ნათელი გახდა, რომ რაღაც საშინელება მოხდა.

პარაშუტისტმა პირველმა დასძლია თავი: იმ მიზნით, რომ კაბინაში არავინ შეეშვა, იგი კარებში ჩადგა, და რამდენიმე სიტყვით განმარტა მდგომარეობა:—არ არის არავითარი საფრთხე,—თქვა მან.—წყნარად იყავით, დარჩით თქვენს ადგილებზე. თუ ექიმია ვინმე, ვთხოვ გამომყვეს.

ორი მგზავრი ადგა და უკან გაჰყვა მას.

...ნელა, საოცრად ნელა მიიზლაზნებოდა დრო... კაბინიდან არავინ გამოდიოდა.

...მღვდელი განუწყვეტლივ შლიდა და კეცავდა გაზეთს.

ბავშვიან ქალს თვალები ფართოდ გაეღო და ხან ფანჯარაში იხედებოდა, ხან კაბინის კარებს აჩერდებოდა, ნერვიულად უტოკავდა წარბები. ვიღაცამ სცადა ეხუმრა, მაგრამ მისი სიცილი ყალბად გაისმა. მხოლოდ ერთი კაცი იყო მშვიდად, მან აეროდრომიდან აფრენისთანავე დაიძინა და ახლაც, პირდაღებული, მშვიდად ფშვინავდა.

კარებში პარაშუტისტი გამოჩნდა.

— ექიმებმა კუპე გაუწმინდეს პილოტს, რამდენიმე წამში იგი გაიღვიძებს, — თქვა მან, გაიდიმა, მშვიდად ყოფნა თხოვა მგზავრებს და უკან შებრუნდა. იქ მისი ღიმილი უმალ გაქრა. ან რა გააცინებდა?! როგორც მან, ისე ექიმებმა კარგად იცოდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ არავითარი საშუალება ეკიპაჟის გაღვიძებისა, ვიდრე თვითონ არ გაივლიდა ნარკოზის ძალა. მაგრამ მან, ვინც ძილის წამალი იხმარა, ცხადია, კარგად იანგარიშა ყველაფერი.

—შეიძლება მგზავრთაგან ვინმეს შეუძლია თვითმფრინავის მართვა, იკითხეთ, — თქვა ექიმმა.

— არა, ასეთი რომ ვინმე იყოს, აქამდე მოგვაკითხავდა... ამასთან, მე ეს-ეს არის გამოვაცხადე, პილოტი მალე გაიღვიძებს-მეთქი, და ახლა რომ რაიმე ვიკითხო, პანიკას გამოიწვევს.

— უნდა ვისარგებლოთ ყოველგვარი, თუნდაც უმნიშვნელო შანსით,—თქვა ექიმმა და მძინარე ეკიპაჟს გახედა.—ეს ხალხი მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ გაიღვიძებს, ამასობაში კი...—პარაშუტისტმა საათს დახედა. ათი საათი იყო. — აი, უკვე სამი საათია ჰაერში ვართ. ახლა, ალბათ, ნახევარი გზა გვაქვს უკვე გავლილი. ბენზინი კიდევ სამ საათს გვეყოფა. სამი საათი... თუ რაიმე წინააღმდეგობა არ შეგვხვდა.

პარაშუტისტი კვლავ სალონში გავიდა.

— რადიოაპარატურის ხმარება ხომ არ იცის ვინმემ?—პილოტს აუცილებლად დასჭირდება რადისტის დახმარება.

რომელიღაც ახალგაზრდამ ხელი ასწია და პარაშუტისტს მიუახლოვდა.

— მე ინჟინერ-ელექტრიკოსი ვარ,—თქვა მან.—ვფიქრობ, რომ შევძლებ მიწასთან დაკავშირებას.

იგი კაბინაში შევიდა და იმ წამსვე რადიოსთან მივიდა. ის-ის იყო—მან დაიწყო თავისი მანიპულაციები, რომ კაბინაში გრიგალივით შემოიჭრა ვიღაც: თმაგაჩეჩილი, ტუჩებზე დორბლმორეული, იგი მთლად კან-

კალებდა. რანდენიმე უაზრო სიტყვა წარმოსთქვა და როგორც შემოვარდა, ისევე გავარდა უკან. ოფიცერი უმალ დაედევნა და ზედ თვითმფრინავიდან გასასვლელ კარებთან დაეწია მას. ყბაში ძლიერი დარტყმით ოფიცერმა ადგილზე ჩააჩოქა იგი და აიძულა სავარძელში ჩაშვებულიყო.

პარაშუტისტმა სული მოითქვა, უკან გამობრუნდა, და ამ დროს სულ ახლოს ვიღაცამ საოცრად მშვიდად ჩაილაპარაკა:

— თვითმფრინავი ძირს იწევს. ვვარდებით!

მღვდელი მუხლმოდრეკილი ლოცულობდა. პანიკა ეუფლებოდა მგზავრებს. ოფიცერი მოთმინებიდან გამოვიდა. მღვდელს ეცა და ადგილზე დაჯდომა უბრძანა.

— თვითმფრინავი ნორმალურად მიდის! კატეგორულად გიკრძალავთ მოძრაობას

— თვითმფრინავს შეუძლია წონასწორობა დაკარგოს.

ამ დროს კაბინიდან ახალგაზრდა ინჟინერი გამოვარდა.

— კავშირი დავამყარე! ჩემი აზრით საკონტროლო პუნქტი უნდა იყოს.

წუთიც და, თვითმფრინავსა და დედამიწას შორის გაიმართა უჩვეულო საუბარი. რადიოტალღის მეორე ბოლოს, საოცრად შორეული ხმა ითხოვდა დაესახელებინათ თვითმფრინავის ნომერი.

— არ ვიცი. მე მგზავრი ვარ. ჩვენ გამოვფრინდით დილით, შვიდ საათზე.

— მომეცით კოორდინატები!

— შეუძლებელია.

— რაშია საქმე?

— ეკიპაჟს გამოფრენის წინ მიღებული აქვს ნარკოზი. თითქმის სამი საათია ავტოპილოტით მივფრინავთ.

ხანგრძლივი სიჩუმე.

— ილაპარაკეთ განუწყვეტლივ, სანამ შეგაწყვეტინებთ. შევეცდებით განვსაზღვროთ თქვენი ადგილმდებარეობა. დაიწყეთ.

ცუდი ინგლისურით პარაშუტისტმა დაიწყო თავისი ბიოგრაფიის მოყოლა. მან თითქმის ორი წუთი ილაპარაკა...

— საკმარისია. გმადლობთ.

ხმა კიდევ უფრო შესუსტდა.

— თქვენ გაივლით დანიშნულების პუნქტს დაახლოებით ორსაათნახევარში.

— შეგიძლიათ დაგვეხმაროთ დაშვებაში?

— ჩვენ დავკარგავთ თქვენთან კავშირს, მაგრამ აეროდრომები გაფრთხილებული იქნება. ახლა თქვენ ბენზინი საკმარისი გაქვთ, ავტოპილოტს კურსი უჭირავს...

— შეიძლება კი მას ვენდოთ?

სიჩუმე.

— ავტოპილოტს მწყობრიდან მხოლოდ გარეგანი ზემოქმედება გამოიყვანს. მეტეოროლოგიური ცნობა კარგია...

ხმა უფრო და უფრო სუსტდებოდა.

— თვალი ადევნეთ სიმაღლესა და საწვავს. და როგორმე გამოადვიძეთ ისინი. ჩვენ ვაცნობებთ ხელისუფლებას. გისურვებთ წარმატებას. ორი საათის შემდეგ დაუკავშირდით თქვენი დანიშნულების ადგილს.

ხმა საბოლოოდ დადუმდა. ახლა ოთხმა ადამიანმა იცოდა, რომ მათ გაღარჩენის რაღაც შანსები ჰქონდათ.

კვლავ გავიდა პარაშუტისტი მგზავრებთან, კვლავ გაჩნდა მის სახეზე უდარდელი ღიმილი.

— ჩვენ გავალვიძეთ ეკიპაჟის უფროსი,— თქვა მან მშვიდი ხმით. — ჩავდივართ ორსაათნახევარში, უფროსმა მოკითხვა გადმოგზავნა.—კიდევ უფრო გაიღიმა და დაუმატა,— ნება დაგრთოთ მოსწოოთ.

შემდეგ სწრაფად შებრუნდა უკან და კარები მიიხურა.

ახლა ცდა, მხოლოდ ცდა. მეტი არაფრის გაკეთება არ შეიძლება. დროდადრო იგი სიმაღლის მზომს უახლოვდება, ისარი ერთთავად 9000 მეტრზე დგას—ეს არის ახლა ერთადერთი დამამშვიდებელი ფაქტი...

13 საათისათვის, ეხე იგი გაფრენიდან ხუთი საათის შემდეგ, მოხერხდა კავშირის დამყარება აეროდრომთან. პირველი კითხვა ასეთი იყო:

— მათ კიდევ სძინავთ?

— დიახ. ელაპარაკეთ ექიმს.

დაიწყო პრაქტიკული რჩევები. შემდეგ რადიოსთან პარაშუტისტი დადგა. გაისმა სუფთა, გარკვეული ხმა:

— შევეცდებით დაგეხმაროთ დაშვებაში. რამდენიმე წუთის შემდეგ დაიწყებთ დაშვებას. თვითმფრინავი სასტარტო ბილიკის მიმართულებით მიდის. მობრუნება არ დაგჭირდებათ. მიუჯექით საჭეს. ახლა გამორთეთ ავტოპილოტი და მიმუეგვით ჩვენს ნაკარნახევს.

...თვითმფრინავი უკვე ათ მეტრზე იყო მიწიდან... რვა... ხუთი... იგი ზუსტად ბილიკის თავზე მიდიოდა. ორი მეტრი, ერთი მეტრი... რადიოში მშვიდად გაისმა: გაუშვით ხელი ყველაფერს. ორი, სამი... დარტყმა, და თვითმფრინავის წინა თვლები მიწაზე გაგორდა. წინ ბეტონის ორკილომეტრიანი ბილიკი იყო.

— — —

ეს ამბავი საფრანგეთის ერთ-ერთ საჰაერო ხაზზე მოხდა. მოელოდნენ, რომ თვითმფრინავს წაჰყვებოდა ერთ-ერთი პროგრესული პოლიტიკური მოღვაწე და მტერს მისი დაღუპვა განეზრახა. ამ მიზნით ეკიპაჟისათვის გაფრენის წინ დასაძინებელი წამალი შეუტყუებიათ.

ჟურნალიდან: «იუნი ტეხნიკ» № 6.

# Пионерская правда

## საჩუქრად „პიონერული მატარებელი"

ამას წინათ მიტიშჩინის (მოსკოვის ოლქი) მანქანათმშენებელი ქარხნის მუშებმა წერილი მიიღეს. წერილი სამხრეთ რკინიგზის სკოლების მოსწავლეებისაგან იყო. მათ 600 ტონა ჯართი შეეგროვებინათ და თხოულობდნენ მისგან მეტროსათვის ვაგონების გაკეთებას. ამ რაოდენობის ჯართი საკმარისია მთელი ორი შემადგენლობისათვის, ბავშვებს სურთ ერთი მატარებელი აჩუქონ მოსკოვს. ლენინის დაბადების დღისათვის, მეორე—კიევს. უკრაინის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გახსნასთან დაკავშირებით.

ქარხანამაც გაუგზავნა წერილი თავის «დამკვეთლებს»: «ვღებულობთ თქვენს დაკვეთას. მასზე შეფობას ქარხნის კომკავშირელები და ახალგაზრდები იღებენ. თქვენ კი გისურვებთ ახალ წარმატებებს სწავლასა და შრომაში სამშობლოს საკეთილდღეოდ».

რამდენიმე თვის შემდეგ მოსკოვის მეტროში კიდევ ერთი მატარებელი გამოჩნდება. მასზე იქნება სპეციალური წარწერა: «პიონერული მატარებელი».

# Вожатый

## ეხმარებიან სკოლას

სახელოებზე მწვანე სამკუთხედი აქვთ დაკერებული, რომელზედაც წერაქვი და ნიჩაბია ამოქარგული. ეს—სპორტული დარბაზის მშენებლობაზე მომუშავე, მეორე «საფეხურის» პიონერთა ემბლემაა.

მინსკის ოლქის ვილეს სკოლაში უფროსკლასელებმა სამშენებლო ბრიგადა ჩამოაყალიბეს. ბრიგადის ყოველმა წევრმა სპორტული დარბაზის მშენებლობისათვის განსაზღვრული რაოდენობის წიდაბლოკი უნდა დაამზადოს. მცირე დროში ბავშვებმა 11 ათასი ბლოკი დაამზადეს, რითაც 66 ათასი აგური იქნა შეცვლილი. ბრიგადამ სკოლას 23 ათასი მანეთი დაუზოგა.

## სამხრეთის ღუჯი ცის ქვეშ

დღის ორი საათია. ამ დროს სამხრეთის მოკრიალებულ სანაპიროზე მზე განსაკუთრებულად მცხუნვარეა. პიონერული ბანაკის — „ფაბიანის" კარებში მკვდარი საათია გამეფებული.

არც ერთი მამაცი („მამაცებს" ფრანგ პიონერებს უწოდებენ) არ საჭიროებს იმის მტკიცებას, რომ დასვენების საათი აუცილებელია. და მით უფრო დღეს, როცა საღამოს, ბანაკში, დიდი პიონერული კოცონი აგიზგიზდება და ყველა მხნედ უნდა იყოს. მაგრამ ყურადღებიან თვალს არ გამოჰპარვია ვეებერთელა ხის ჩრდილში მოფუსფუსე რამდენიმე პიონერის სილუეტი.

ნეტავ ვინ არიან. ან რას აკეთებენ?

ეს ბანაკის საბჭოს წევრები: მონიკი. პიერი. ჟერარი. კლოტი. მიშელი და ჟილბერია. ისინი თავიანთ პირველ სხდომაზე შეიკრიბნენ.

უფროსი ხელმძღვანელი ანდრე აქ არის. ვინღა გვაკლია? მარსელი! როდის მოეღება ბოლო დაგვიანებებს? მაგრამ აი, ისიც. მას ხელში ქაღალდის ფურცელი უჭირავს და სირბილით უახლოვდება თავის მეგობრებს. — ბიჭებო. ფერნანის წერილი მოვიდა! — სულმოუთქმელად ამბობს იგი.

ამ ერთი წლის წინათ მამაცებმა გადაწყვიტეს წერილობითი კავშირი დაემყარებინათ ფერნან მარენთან. მამაცებმა გაზეთში წაიკითხეს, რომ ახალგაზრდა ფრანგი ჯარისკაცი ფერნან მარენი ციხეში ჩასვეს იმისათვის, რომ მან უარი განაცხადა ალჟირის ხალხის წინააღმდეგ ომზე. ძლიერ გაეხარდათ მამაცებს, როცა მათ პირველი წერილი მიიღეს ფერნანისაგან. „თქვენ წარმოდგენა არა გაქვთ, თუ რას ნიშნავს თქვენი წერილი ჩემთვის, — სწერდა ფერნანი. მე ახლა მარტო აღარა ვარ ჩემი საკანის ოთხ კედელში. ხშირად მომწერეთ წერილი და მიამბეთ თქვენს საქმიანობაზე. მე ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს. თუკი, თუნდაც ამით, შევძლებ თქვენს საქმიანობაში, თქვენს მხიარულებაში მონაწილეობის მიღებას.

იმ ხნიდან მოყოლებული, მიმოწერა არ შეწყვეტილა. იცვლებოდნენ მხოლოდ წერილის გამგზავნი ავტორები-რაზმები. წერილის დედნები და პასუხები ინახება რაზმეულის ოქროს წიგნში. მალე მიხვდნენ, რომ მარტო წერილების გზავნა საკმარისი არ არის, და რომ, საჭიროა პატიმრისათვის საკვების გაუმჯობესება. ამ მიზნით გადაწყვიტეს ყოველთვიურად ამანათის გაგზავნა. თავდაპირველად ეგონათ, რომ ეს ადვილი იყო, მაგრამ სად მოახერხებდნენ ისინი ყოველთვიურად 3-4 ათასი ფრანკის შოვნას.

რაზეულის გოგონები და ბიჭები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ფული ეშოვნათ. ერთხელ ლატარია მოაწყვეს, მეორედ — თავიანთი ნაკეთობები გაყიდეს მშობელთა კრებაზე, მესამედ — გამყიდველებს ჩამოუარეს და პროდუქტები გამოსთხოვეს... და ასე ყოველთვის, როცა ამანათის გაგზავნის დრო მოვიდოდა, მამაცები ახალი ხერხის ძებნაში იყვნენ. ასე მოხდა ახლაც. ფერნანმა ბანაკიდანაც უნდა მიიღოს დახმარება. მაგრამ დღეს ისინი სხვა საკითხებსაც იხილავდნენ. წინადადება წინადადებას სცვლიდა: „მოვამზადოთ კოცონი მეზობელი სოფლებისათვის! დე, მათაც იცოდნენ თუ რა უნდა გაკეთდეს, რომ საჭიროა ბრძოლა!" „კოცონზე ჩვენი ცეკვის ანსამბლი გამოვა." „მოვაწყოთ ჩვენი გაზეთის — „მამაცის" სპეციალური ნომრის გაყიდვა..." „იქნებ შევძლოთ და გამოვცეთ პატარა საბანაკო ჟურნალი?" სადაც არ უნდა იყოს რაზმეული, პარიზში თუ სოფელ ადგილას, ხმელთა შუა ზღვის სანაპიროზე თუ კიდევ სხვაგან, ისინი ყველგან ასახელებენ სახელს, რომელსაც მათი რაზმეული ატარებს — სახელს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაცემული გმირისას. ეს და საფრანგეთის პიონერების — მამაცების სხვა რაზმეულები მუდამ მზად არიან შეასრულონ ყველაზე საპატიო და ყველაზე ძნელი საქმეები.

**ანდრე რეკიული.**
რაზმეულის ხელმძღვანელი.

მ ა მ ა: წაუღე წერილი მისტერ ჯენიკს?

შ ვ ი ლ ი: კი. მამა. მაგრამ რატომ მისწერე მოხუც ჯენიკს? ის ხომ ბრმაა და მაინც ვერ წაიკითხავდა.

მ ა მ ა: ბრმა?! არ ვიცოდი. ალბათ რაიმე უეცარი უსიამოვნება თუ შეემთხვა. როგორ შენიშნე?

შ ვ ი ლ ი: როგორ? მის კაბინეტში ვიდექი, ორჯერ მითხრა, ქუდი სად გაქვსო? ქუდი კი თავზე მეხურა.

—

ერთ საღამოს მამა სავარძელში იჯდა, მასთან მისი შვილი — პატარა ბიჭი მივიდა და ქუჩაში ნაპოვნი სათლელი აჩვენა.

— ნამდვილად დაჰკარგა ვინმემ? — ჰკითხა მამამ.

— კი, მამიკო. მე დავინახე. როგორ ეძებდა მას ერთი კაცი.

—

— მამიკო, მელანი ძალიან ძვირია?

— არა შვილო, რად მეკითხები ამას?

— იმიტომ, რომ დედა ყოველთვის სწუხს ხოლმე, როცა მელანი ხალიჩაზე მეღვრება.

—

მამამ თავის შვილს უთხრა: — მე ვიცნობ ერთ კაცს. რომელიც ყოველდღე ადრე დგება და ერთ დილას ასი დოლარი იპოვა. ხედავ. რა კარგია ადრე ადგომა!

— კი. მამი. მაგრამ ის კაცი, რომელმაც ასი დოლარი დაკარგა. ხომ უფრო ადრე ადგებოდა?

თარგმნა **ლ. სილაძემ**

რედაქციაში შემოსული მასალები
აგტორებს არ უბრუნდებიან

ფასი 2 შაბ.

„ПИОНЕРИ" детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина, № 1, 1960. Тбилиси, пр. Плеханова, 91. მისამართი: ფილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 3-81-85.

ფც 08753 ტირ. 23000. პირ. ფორმ. რაოდ. 4½. ფრ. ფორმ. რაოდ. 2
ხელმოწერ. დაბეს. 29/XII-59. შ. ტფილისის ზეგ. № 1517 გამომც. ზეგ. № 699
სპ. „ს. ც. კის ბასრეგლების პკომბინატი „კომუნისტი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხე—ძროხა

ამაზონკის აუზში იზრდება ერთგვარი ხე, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი «საწოვარას» ეძახიან. საკმარისია ამ ხეს კაცმა დანა დაუსვას, რომ განაჭერიდან მყისვე სქელმა, მოთეთრო წვენმა გადმოჩქეფოს. გემოთი ეს წვენი ძლიერ წააგავს ძროხის რძეს. მაგრამ, ვინაიდან მას მომწარო გემო დაჰკრავს, იგი შხამიანი ეგონათ და საკვებად არ ხმარობდნენ.

ბოტანიკოსებმა გამოარკვიეს, რომ ეს წვენი თავისი ქიმიური შედგენილობით ისეთივეა, როგორც ძროხის რძე. წყალში გახსნილი და ადუღებული მწკლარტე გემოს პკარგავს და სასიამოვნო სასმელი ხდება. თითოეულ ხე-ძროხას შეუძლია 2-5 ლიტრი რძის მოცემა ერთ «მოწველაზე».

ამაზონკის აუზის ზოგიერთ რაიონში, სადაც ადამიანები საპმლის დიდ ნაკლებობას განიცდიან და ბუნებრივი პირობების გამო ძროხების მოშენება ძალზე ძნელია, ეს ხე დიდი სარგებლობის მომტანია.

## ᲐᲛᲐᲜᲐᲗᲘ ᲛᲝᲛᲐᲛᲚᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

1939 წელს ნიუ-იორკში, საერთაშორისო გამოფენის ტერიტორიაზე, მიწაში ჩამარხული იქნა «დროის ბომბი».

ეს ყუმბარა-ამანათი განკუთვნილია ხუთი ათასი წლის შემდეგ მცხოვრებთათვის. მისი მიზანია, ასეთი შორეული მომავლის ადამიანს გააცნოს ჩვენი დროის მეცნიერება, ტექნიკა და კულტურა. «ბომბში» მოთავსებულია უმნიშვნელოვანესი ქიმიური ნივთიერებებისა და მინერალების ნიმუშები; ვიწრო კინოფასკზე დაბეჭდილია მთელი ბიბლიოთეკა, რომელიც 11 მილიონ სიტყვას შეიცავს, აქ არის ენციკლოპედიები, მეცნიერული შრომები, უცხო ენათა ლექსიკონები და მხატვრული ლიტერატურა. «ბომბში» ჩაწყობილია აგრეთვე უამრავი საყოფაცხოვრებო საგანი: საათი, ელექტრონათურა, სათვალე, ჩიბუხი, ტუჩების პომადა, პუდრი, ქალის შლიაპა — 1939 წლის მოდელისა, კბილის პასტა, ფოტოაპარატი, სამართებელი, კონსერვის გასახსნელი დანა, ავტოკალმისტარი და სხვა.

«ბომბი» უნდა გაიხსნას 6939 წელს!

## ᲛᲔᲢᲘᲡᲛᲔᲢᲘ ᲨᲘᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ

საკვირველი ამბავი მოხდა ამას წინათ კუნძულ გრენადზე (მცირე ანტილიის კუნძულები). ის იყო, ერთმა მოცურავე გოგონამ წყლიდან ამოყვინთა, რომ მოულოდნელად ხეზე რა-



ღაც ჩაებღაუჭა. იგი დიდი, გრძელკუდიანი ცხოველი—ხვლიკი იგუანა აღმოჩნდა. იგუანები განსაკუთრებული სიმხდალით გამოირჩევიან და აქამდე არც ერთ მათგანს არ გამოუჩენია სურვილი,—მიახლოებოდა ადამიანს. ამიტომ ამ იგუანას მოქცევა აიხსნება მხოლოდ... დიდი შიშით. მზის შუქით თვალმოჭრილი და მთელ პლაჟზე მყოფი ხალხის კრიამულით თავგზაუდასხმული იგუანა გოგონას მხრებზე გაირინდა და ასე გაპყვა მას სახლამდე. მხოლოდ ბაღშიღა მოეგო გონს ხვლიკი და მაშინვე ბუჩქებში გაუჩინარდა.

## ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ

თითოეული რიცხვის ირგვლივ ყოველ უჯრაში, მითითებული ადგილიდან საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით, ჩაწერეთ სიტყვები რომლებიც პასუხობენ შემდეგ კითხვებს:

1. საბავშვო ჟურნალი; 2. მდინარე საქართველოში: 3. ქალაქი იტალიაში; 6. ხერხი ანუ... 7. ძალის ერთეული; 8. ცივი იარაღი; 9. გარეულ ფრინველთა დასაჭერი მოწყობილობა; 10. დიდი ქართველი მწერლის სახელი; 11. ქალის სახელი: 12. სიგნალიზაციის საშუალება: 13. ნიადაგის დამუშავების სახე; 14. ადამიანია ანეულის ნაწილი. 15. მუსიკალური ინსტრუმენტი; 16. ქალაქი საქართველოში.




შეადგინა **ნ. კლდიაშვილმა.**

## ᲗᲐᲕᲡᲐᲢᲔᲮᲘ

საჭადრაკო ტურნირში ხუთი მოსწავლე მონაწილეობდა. შეჯიბრების პირველ წრეში ერთმა მოსწავლემ სამნახევარი ქულა შეაგროვა, მეორემ—ერთნახევარი, მესამემ—ორნახევარი, მეოთხემ ყველა პარტია წააგო, ხოლო მეხუთეს არც ერთი წაგება არ ჰქონია.

ამ მონაცემების მიხედვით შეადგინეთ ტურნირის შედეგების ცხრილი.

**რ. თავდიდიშვილი.**

## ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

ორ ძმას ათი ვაშლი უნდა გაეყოთ. ერთ მათგანს, როგორც უფროსს, ერთით მეტი უნდა მიეღო. როგორ გაიყოფდნენ?

**გ. გველესიანი.**

## ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

**როგორ გაპყონ**

ერთ ძმას ერგება 5 თხა სამ-სამი თიკნით და 5 თითო თიკნი-ნი. მეორე ძმასაც ასე ერგება. მესამე ძმას კი — 10 თხა ორ-ორი თიკნით.

**შარადა:** ციყვი.

L 15728

ეროვნული ბიბლიოთეკა